ჯეინ ოსტინი

სიამაყე და მცდარი აზრი

Jane Austen
PRIDE AND PREJUDICE

ჯეინ ოსტინი
სიამაყე და მცდარი აზრი

ინგლისურიდან თარგმნა
ანა მაყაშვილმა

რედაქტორები: გიორგი დარსალია, ირმა არჩუაშვილი
მხატვარი: ნანა ჭილაძე
ტექნიკური უზრუნველყოფა: თამაზ ჩხაიძე

© “არეტე” 2011
© “Arete” 2011

ISBN 978-99940-54-35-0
EAN 9789994054350

თავი 1

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ დიდი ქონების პატრონ მარტოხელა მამაკაცს ცოლი სჭირდება.

ასეთი კაცი ახალ სამეზობლოში წესიერად დასახლებას ვერ ასწრებს, რომ გარშემომყოფი ოჯახები მას მაშინვე მათი რომელიმე ქალიშვილის ალალ-მართალ საკუთრებად მიიჩნევენ; არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ცოტაა ცნობილი მისი გრძნობებისა თუ აზრების შესახებ.

– ჩემო ძვირფასო მისტერ ბენეტ, – მიმართა ცოლმა ერთ დღეს მეუღლეს, – გაიგე, როგორც იქნა, ნედერფილდ პარკი გაქირავდა?

მისტერ ბენეტმა არაფერი იცოდა ამის შესახებ.

– ჰო, ასეა, – განაგრძო ქალმა, – ახლა მისის ლონგი იყო მოსული და ყველაფერი მიამბო.

მისტერ ბენეტმა არ უპასუხა.

– არ გაინტერესებს, ვინ იქირავა? – მოუთმენლად წამოიყვირა მისის ბენეტმა.

– ერთი სული გაქვს, შენ თვითონ მითხრა და მითხარი; წინააღმდეგი არ ვარ, მოგისმინო.

ეს საკმარისი იყო მისის ბენეტისათვის:

– უნდა იცოდე, ჩემო ძვირფასო, უნდა იცოდე! მისის ლონგის თქმით, ნედერფილდი ახალგაზრდა კაცმა იქირავა, უზარმაზარი ქონების პატრონია, ჩრდილო ინგლისიდან. ორშაბათს ჩამოსულა ოთხცხენიანი კარეტით და ისე მოსწონებია ადგილი, რომ მისტერ მორისისთვის მაშინვე თანხმობა განუცხადებია; იქაურობა წმინდა მიქაელის დღემდე[1] უკვე მისი საკუთრება იქნება, კვირის ბოლოსთვის სახლში რამდენიმე მსახურიც გადავა.

– რა ჰქვია?

---

[1] წმინდა მიქაელის დღე - დასავლური ქრისტიანული კალენდრის თანახმად, მთავარანგელოზი მიქაელის დღე, 29 სექტემბერი. ოთხიდან ერთ-ერთი დღე, როცა უძრავი ქონება ქირავდებოდა. (აქ და შემდგომ - მთარგმნელის შენიშვნები).

– ბინგლი.

– დაქორწინებულია?

– არა! მარტოხელაა, ჩემო ძვირფასო, მარტოხელა! უცოლო კაცი უზარმაზარი ქონებით! ოთხი თუ ხუთი ათასი აქვს თვეში. რა მშვენიერია ჩვენი გოგონებისთვის!

– რანაირად? ისინი რა შუაში არიან?

– მისტერ ბენეტ, საყვარელო, – მიუგო ცოლმა, – რა დაგემართა?! ვერ ხვდები, რომ რომელიმე მათგანის მითხოვებას ვფიქრობ ამ კაცზე?

– ამ განზრახვითაა აქ ჩამოსული?

– განზრახვით?! არა, რა სისულელეს ამბობ?! მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომელიმე მათგანი შეუყვარდეს. ამიტომაც, ჩამოვა თუ არა, ბინგლის უნდა ესტუმრო.

– ვერ ვხედავ ამის საჭიროებას. შენ და გოგონები წადით, თუ გინდა, ან სულაც მარტო გაუშვი ისინი, ასე აჯობებს. მათზე ლამაზი ხარ და შეიძლება, მისტერ ბინგლის ყველაზე მეტად შენ მოეწონო.

– ძვირფასო, გულს ნუ მიკეთებ. რასაკვირველია, მეც მქონდა ჩემი წილი სილამაზე, მაგრამ ახლა განსაკუთრებულს აღარაფერს წარმოვადგენ. როცა ქალს ხუთი ზრდასრული ქალიშვილი ჰყავს, თავის სილამაზეზე ფიქრს თავი უნდა დაანებოს.

– ასეთ შემთხვევებში, ქალს სილამაზე დიდად აღარც აქვს ხოლმე შემორჩენილი, ამაზე რომ იფიქროს.

– მაგრამ, ჩემო ძვირფასო, როცა მისტერ ბინგლი დაგვიმეზობლდება, აუცილებლად უნდა ეწვიო.

– გარწმუნებ, ამაში ნამდვილად არ მივიღებ მონაწილეობას.

– მაგრამ იფიქრე შენს ქალიშვილებზე. იფიქრე, როგორ შეიძლება რომელიმე მათგანს ბედმა გაუღიმოს. ხომ იცი, სერ უილიამი და ლედი ლუკასი იმწამსვე გაიქცევიან, მხოლოდ ამ მიზნით, თორემ თავად მოგეხსენება, ახალ მეზობლებს არასდროს სტუმრობენ. აუცილებლად უნდა მიხვიდე. უშენოდ ჩვენი იქ მისვლა წარმოუდგენელია.

– მეტისმეტად დაწვრილმანებით ეკიდები საქმეს. ჩემი აზრით, მისტერ ბინგლის თქვენი ნახვა გაუხარდება. მეც არ დავზარდები და შევუთვლი, რომ გულითადად ვეკიდები მის არჩევანს ჩვენი გო-

გონებიდან ნებისმიერის ცოლად შერთვასთან დაკავშირებით. თუმცა ჩემს პატარა ლიზიზე ერთი-ორი კეთილი სიტყვა მაინც უნდა შევაწიო.

– არ მინდა, ასე რომ მოიქცე. ლიზი დანარჩენებს ოდნავადაც არ სჯობს. ჩემი აზრით, ჯეინზე ლამაზი ნამდვილად არ არის და არც ლიდიაზე ხალისიანი ბუნებისაა, მაგრამ შენ ყოველთვის ლიზის ანიჭებ უპირატესობას.

– დანარჩენებს არაფერი აქვთ ისეთი, რითიც მისტერ ბინგლის თავს მოაწონებდნენ, – უპასუხა მისტერ ბენეტმა, – სხვა გოგონებივით უჭკუოები და ბრიყვები არიან, ლიზი კი შედარებით სხარტია.

– მისტერ ბენეტ, როგორ შეგიძლია, საკუთარი შვილები ასე დაამცირო? ჭკუას კარგავ ჩემს გაჯავრებაზე. ჩემს საცოდავ ნერვებს საერთოდ არ უფრთხილდები.

– არასწორად გესმის ჩემი, ძვირფასო. შენს ნერვებს დიდ პატივს ვცემ, ჩემი ძველი მეგობრებივით არიან. უკვე ბოლო ოცი წელია, სულ მოწიწებით საუბრობ მათზე.

– ეჰ! არ იცი შენ, რამდენი სადარდებელი მაქვს.

– მაგრამ, ვიმედოვნებ, ყველაფერს გადაიტან და კიდევ უამრავ ახალგაზრდა კაცს ნახავ ჩვენს სამეზობლოში ისეთს, ოთხი ათასი რომ აქვს წელიწადში შემოსავალი.

– ჩვენთვის ხეირი არ ექნება, შენ თუ არ მიხვალ და არ დაელაპარაკები, გინდაც ოცი ასეთი კაცი ჩამოვიდეს.

– მერწმუნე, ძვირფასო, ოცი რომ იყოს, ყველას სათითაოდ ვესტუმრებოდი.

მისტერ ბენეტი უცნაური ხასიათის კაცი იყო: სხარტიც, სარკასტულიც, გულჩაკეტილიც და ჭირვეულიც, იმდენად უცნაური, რომ საკუთარი ცოლისთვის ოცდასამი წელი არ აღმოჩნდა საკმარისი, მისი ხასიათი ბოლომდე გაეგო. მისის ბენეტი უფრო მარტივი ქალი იყო, ამქვეყნად ბევრი არაფერი იცოდა და მერყევი ტემპერამენტი ჰქონდა. რამით თუ უკმაყოფილი იყო, მაშინვე აიჩემებდა, ნერვიული ვარო. ცხოვრების მთელ აზრს ქალიშვილების გათხოვებაში ხედავდა, მისი ნუგეში კი სტუმრად სიარული და ახალ-ახალი ამბების მოსმენა იყო.

თავი 2

მისტერ ბენეტი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მისტერ ბინგლის ეწვია. მისი ნახვა თავიდანვე ჰქონდა განზრახული, თუმცა ცოლს არწმუნებდა, მასთან მე არ უნდა წავიდეო. ქალმა ამის შესახებ მხოლოდ საღამოს შეიტყო, როცა მისტერ ბენეტს ბინგლი უკვე მონახულებული ჰყავდა. აი, როგორ გაირკვა ეს ამბავი.

მისტერ ბენეტი თავის მეორე ქალიშვილს უცქერდა; ის ქუდის მოკაზმვით იყო დაკავებული, რომ უცებ მიმართა:

– ლიზი, იმედი მაქვს, მისტერ ბინგლის ქუდი მოეწონება.

– ვიდრე არ მივალთ, – თქვა დედამ განაწყენებით, – ვერაფერსაც ვერ გავიგებთ, რა მოსწონს მისტერ ბინგლის.

– მაგრამ ნუ გავიწყდებათ, დედა, – მიუგო ელიზაბეთმა, – მას სამეზობლო შეკრებაზე შევხვდებით, მისის ლონგი კი შეგვპირდა, გაგაცნობთო.

– არა მგონია, მისის ლონგი ამის გამკეთებელი იყოს. თვითონ ორი დისშვილი ჰყავს. ეგოისტი, ფარისეველი ქალია და მეტი არაფერი.

– მეც არა მგონია, – თქვა მისტერ ბენეტმა, – და მიხარია, რომ მის დახმარებაზე არ იქნებით დამოკიდებულნი.

მისის ბენეტმა მეუღლე პასუხის ღირსად არ ჩააგდო, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ერთ-ერთი ქალიშვილის დატუქსვას შეუდგა:

– ღვთის გულისათვის, კიტი, ნუ ახველებ ასე! გაუფრთხილდი ცოტა ჩემს ნერვებს, სულ მთლად ნუ მინადგურებ.

– კიტი სულ ასე დაუდევრად გვექცევა, – დასძინა მამამ, – სულ ასე უდროოდ ახველებს.

– გგონიათ, მსიამოვნებს ხველება?! – ფიცხად უპასუხა კიტიმ.

– შემდეგი მეჯლისი როდის გაქვთ, ლიზი?

– ორ კვირაში.

– აჰა, გასაგებია, – წამოიყვირა დედამ, – მისის ლონგი მხოლოდ ერთი დღით ადრე დაბრუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისტერ ბინგლის ვერ გაგვაცნობს, ჯერ თავადაც არ ეყოლება გაცნობილი.

– ჰოდა, ჩემო ძვირფასო, უპირატესობა შენს მხარესაა, შეგიძლია, მას თავად გააცნო მისტერ ბინგლი.

– შეუძლებელია, მისტერ ბენეტ, შეუძლებელი, მე თვითონ არ ვიცნობ. ნერვებს ნუ მიშლი!

– პატივს ვცემ შენს წინდახედულეობას. ორი კვირის ნაცნობობა მართლაც ბევრი არაფერია. ორ კვირაში ვერ გაიგებ, სინამდვილეში როგორია პიროვნება, მაგრამ თუ არ გავრისკეთ, ვინმე სხვა დაგვასწრებს. მისის ლონგსა და მის დისშვილებსაც აქვთ უფლება, თავიანთი ბედი გამოსცადონ, მით უმეტეს, მისის ლონგი ამას კეთილშობილურ საქციელში ჩაგითვლის. ამიტომაც, შენ თუ უარს იტყვი, ამ საქმეს მე მოვკიდებ ხელს.

გოგონები მამას მიაშტერდნენ. მისის ბენეტმა კი მხოლოდ წამოიძახა:

– სისულელეა, სისულელე!

– რისი თქმა გინდა ამ ჯიუტი წამოძახილით? – ხმამაღლა იკითხა მისტერ ბენეტმა, – სისულელედ მიგაჩნია გაცნობის ცერემონია და ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც მას აქვს? ამ საკითხში ვერაფრით დაგეთანხმები. მერი, რას იტყვი შენ? ასე კარგად მოაზროვნე ახალგაზრდა ქალბატონო, კარგ წიგნებს რომ კითხულობ და ციტატებიც რომ იცი ამ წიგნებიდან, აბა, რას გვეტყვი?

მერის რაიმე ჭკვიანურის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა.

– სანამ მერი აზრებს ალაგებს, – განაგრძო მისტერ ბენეტმა, – დავუბრუნდეთ მისტერ ბინგლის.

– ყელში ამომივიდა ეს მისტერ ბინგლი! – დაიყვირა ცოლმა.

– საწყენია ამის გაგონება. ადრე რატომ არ მითხარი? ამ დილას რომ მცოდნოდა, მისტერ ბინგლის ნამდვილად არ ვეწვეოდი. არ გაგვიმართლა. თუმცა, რახან მართლა ვინახულე, ახლა მის გაცნობას გვერდს ვეღარ ავუვლით.

მისტერ ბენეტმა სასურველ შედეგს მიაღწია: ქალბატონების განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. მისის ბენეტმა ყველა დაჯაბნა, თუმცა, როცა სიხარულის პირველმა ტალღამ გადაურა, დაბეჯითებით დაიწყო მტკიცება, ასეც ვიცოდიო.

– რა კარგად მოქცეულხარ, ჩემო ძვირფასო მისტერ ბენეტ! მაგრამ ვიცოდი, რომ საბოლოოდ დაგარწმუნებდი. ეჭვიც არ შემ-

პარვია. იმდენად გიყვარს ჩვენი გოგონები, რომ ასეთ ნაცნობობაზე უარს ვერ იტყოდი. ძალიან გამახარე! ხუმრობაც კარგი გამოგივიდა, დილას წახვედი და აქამდე სიტყვაც არ დაგიძრავს.

– ახლა, კიტი, რამდენიც გინდა, იმდენი ახველე, – თქვა მისტერ ბენეტმა და ცოლის აღტაცებისგან დაღლილი, ოთახიდან გავიდა.

– რა შესანიშნავი მამა გყავთ, გოგონებო! – თქვა მისის ბენეტმა, როცა ქმარმა კარი მიიხურა, – არც კი ვიცი, ამ სიკეთეზე მადლობა როგორ უნდა გადაუხადოთ, ან მე როგორ გადავუხადო?! ჩვენს დროში ყოველდღე ახალ-ახალი მამაკაცის გაცნობა ადვილი არაა, მაგრამ თქვენი გულისთვის, რას არ გავაკეთებთ! ლიდია, ჩემო საყვარელო, მართალია ყველაზე ახალგაზრდა ხარ, მაგრამ ჩემი აზრით, მეჯლისზე შენ გეცეკვება მისტერ ბინგლი.

– ოჰ, გამაკვირვეთ! – ამაყად თქვა ლიდიამ, – ეჭვიც არ მეპარება, იმიტომ, რომ ყველაზე ახალგაზრდა კი ვარ, მაგრამ ყველაზე მაღალიც ვარ.

დარჩენილმა საღამომ ვარაუდებში გაიარა – რამდენად მალე გადაწყვეტდა მისტერ ბინგლი საპასუხო ვიზიტს და როდის ჯობდა მისი დაპატიჟება სადილზე.

თავი 3

რას აღარ ეკითხებოდნენ მისტერ ბენეტს ცოლი და ხუთი ქალიშვილი მისტერ ბინგლის შესახებ. თუმცა კითხვები არ იყო საკმარისი, რომ ბინგლის სრული სურათი შეექმნათ თავში. ათასი მხრიდან შეუტიეს – პირდაპირი კითხვებით, გონებაგამჭრიახი ვარაუდებით, შენიღბული ეჭვებით, მაგრამ მისტერ ბენეტი ვერაფერზე წამოაგეს. ამიტომაც, საბოლოოდ, იძულებულნი გახდნენ, მეორე ხელის ცნობებს დასჯერებოდნენ და მეზობელს, ლედი ლუკასს მიმართეს. მისი ნაამბობი ძალიანაც ხელსაყრელი გამოდგა. სერ უილიამი მოხიბლულა ბინგლით. საკმაოდ ახალგაზრდა ყოფილა, არაჩვეულებრივი გარეგნობის, უკიდურესად სასიამოვნო; ცნობებს კი ის აგვირგვინებდა, რომ ბინგლი შემდეგ მეჯლისზე მეგობრების დიდ ჯგუფთან ერთად აპირებდა დასწრებას. ამაზე შე-

სანიშნავი რა უნდა ყოფილიყო! შეყვარების პირველი ნაბიჯი ხომ კარგი ცეკვა გახლდათ! და მისის ბენეტს კიდევ უფრო მეტი იმედის საფუძველი მიეცა.

– ნეტავ, ჩემი ქალიშვილი ნედერფილდში მაჩვენა ბედნიერად დასახლებული, – უთხრა მისის ბენეტმა მეუღლეს, – და დანარჩენებიც ასევე კარგად გამეთხოვებინოს! ამაზე მეტი რა უნდა მინდოდეს?!

რამდენიმე დღეში მისტერ ბინგლი მისტერ ბენეტს საპასუხო ვიზიტით ეწვია და ათი წუთი მის ბიბლიოთეკაში გაატარა. გულის სიღრმეში ახალგაზრდა ქალბატონების თვალის მოკვრას ნატრობდა, რომელთა სილამაზეზე უკვე ბევრი ჰქონდა გაგონილი, მაგრამ მარტო მათი მამის ნახვის საშუალება მიეცა. გოგონებს უფრო გაუმართლათ: ზემოთა ფანჯრიდან მათ დაადგინეს, რომ ბინგლის ლურჯი ქურთუკი ეცვა და შავ ცხენზე ამხედრებულიყო.

ამის შემდეგ მისტერ ბინგლი მალევე დაპატიჟეს სადილად. მისის ბენეტს უკვე შედგენილი ჰქონდა კერძების ნუსხა, რასაც მისი დიასახლისური ნიჭი კარგად უნდა წარმოეჩინა, რომ უეცრად პასუხი მოვიდა და მთელი ეს გეგმები შეაფერხა: მისტერ ბინგლი იძულებული გახდა, მომდევნო დღეს ქალაქში წასულიყო, შესაბამისად, მათთან სტუმრობის პატივზე უარი უნდა ეთქვა და ა.შ. მისის ბენეტი შეცბუნდა, ვერ წარმოედგინა, ჰერთფორდშირში ჩასვლიდან მალევე, ქალაქში ასეთი რა საქმე უნდა გასჩენოდა და შეშინდა, აქეთიქით სიარულს დაიწყებს და ნედერფილდში საფუძვლიანად არ დასახლდებაო. მისი შიშები ცოტათი ლედი ლუკასმა შეამსუბუქა – ლონდონში მარტო იმიტომ წავიდა, რომ მეჯლისისთვის თავისი მეგობრები ჩამოიყვანოსო. მოგვიანებით ახალი ცნობაც მოვიდა – მეჯლისზე მისტერ ბინგლი თორმეტ ქალბატონსა და შვიდ ბატონთან ერთად მოვაო. ქალბატონების რიცხვის გაგონებამ გოგონები დაამწუხრა, მაგრამ მეჯლისის წინა დღეს დამშვიდდნენ, როცა შეიტყვეს, რომ ლონდონიდან თორმეტის ნაცვლად, მხოლოდ ექვსი ქალბატონი ჩამოეყვანა, მისი ხუთი და და ერთი ბიძაშვილი. ხოლო, როცა მისტერ ბინგლი და მისი თანმხლებლები წვეულების დარბაზში შევიდნენ, აღმოჩნდა, რომ სულ ხუთნი იყვნენ: თვითონ, მისი ორი და, უფროსი დის ქმარი და კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცი.

მისტერ ბინგლი კარგი შესახედაობის კაცი იყო, ჯენტლმენურად გამოიყურებოდა. სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა და თავისუფალი, უშუალო მანერები. მისი სიძე, მისტერ ჰერსტი მაინცდამაინც არ ჰგავდა ჯენტლმენს, მაგრამ, აი, ბინგლის მეგობარმა, მისტერ დარსიმ მალევე მიიქცია ოთახში მყოფთა ყურადღება ნატიფი, ტანმაღალი აღნაგობით, ლამაზი ნაკვთებით, დარბაისლური შესახედაობითა და იმ ცნობით, რაც იქ შეკრებილებს მისი შესვლიდან ხუთ წუთში მოედო: წელიწადში ათი ათასი აქვს შემოსავალიო. ბატონები ამბობდნენ, დახვეწილი მამაკაციაო, ქალბატონები კი აცხადებდნენ, მისტერ ბინგლიზე გაცილებით ლამაზიაო, და ნახევარი საღამო ყველანი აღტაცებულები შესცქეროდნენ. იქამდე, ვიდრე მისმა ქცევებმა სიძულვილი არ გამოიწვია და მის პოპულარობას არ დაემუქრა. აღმოაჩინეს, რომ ამაყი იყო, საზოგადოებას ზემოდან უყურებდა და სხვათა კეთილგანწყობას არაფრად აგდებდა. ახლა უზარმაზარი მამულები ვერაფერს უშველიდა, ვერაფერი დაიხსნიდა ყველაზე აუტანელი, უსიამოვნო გამომეტყველებისა და იმისგან, რომ თავის მეგობართან შედარების ღირსიც კი არ იყო.

მისტერ ბინგლიმ ოთახში შეკრებილთაგან მალევე თითქმის ყველა გაიცნო. ცოცხალი და უშუალო იყო, ერთი ცეკვაც არ ჩაუგდია, გაბრაზდა კიდეც, ადრე რომ დასრულდა მეჯლისი და თქვა, მეც მოვაწყობ ერთ მეჯლისს ნედერფილდშიო. ასეთი მეგობრული თვისებები თავისთავად ბევრ რამეს მოწმობდა. რა დრამატული სხვაობა იყო მასა და მის მეგობარს შორის! მისტერ დარსიმ მხოლოდ ერთხელ იცეკვა მისის ჰერსტთან და ერთხელაც – მის ბინგლისთან, უარი თქვა ყველა სხვა ქალბატონის გაცნობაზე და მთელი საღამო ოთახში ხეტიალში გაატარა, ხანდახან თუ დაელაპარაკებოდა ვინმეს, ისიც საკუთარი საზოგადოებიდან. მის ხასიათს განაჩენი გამოუტანეს: მსოფლიოში ყველაზე ამაყი, უსიამოვნო კაცი იყო და ყველა იმედოვნებოდა, რომ მეორედ იქ აღარ მივიდოდა. მის მიმართ კი ყველაზე დაუნდობელი მისის ბენეტი აღმოჩნდა, რომლის ზიზღი ზოგადად მისტერ დარსის საქციელის მიმართ კონკრეტულმა აღშფოთებამ კიდევ უფრო გაამძაფრა: დარსი მის ერთ-ერთ ქალიშვილს შეურაცხმყოფელად მოეპყრო.

მამაკაცების სიმცირის გამო ელიზაბეთ ბენეტი იძულებული გახდა, ორი ცეკვა გამოეტოვებინა. ამ დროს მის ახლომახლო მისტერ დარსი იდგა, საკმარისად ახლოს, რომ მასსა და მისტერ ბინგლის შორის საუბრისთვის მოეკრა ყური. ამ უკანასკნელს ცეკვა რამდენიმე წუთით მიეტოვებინა, მეგობარი გართობაზე რომ დაეყოლიებინა.

– მოდი, დარსი, – უთხრა მისტერ ბინგლიმ, – უნდა აგაცეკვო. ვერ ვიტან, ასე რომ გხედავ, მარტო რომ დგახარ სულელივით. ჯობია, იცეკვო.

– ნამდვილად არ ვაპირებ ცეკვას. ხომ იცი, ეს საქმე როგორ მეზიზღება, სანამ მეწყვილეს კარგად არ გავიცნობ. ეს საზოგადოება აუტანელია. შენი დები დაკავებულები არიან, სხვა ქალი კი არ მეგულება ამ ოთახში, ვისთან ცეკვაც ჩემთვის სასჯელი არ იქნებოდა.

– ღმერთო ჩემო, შენსავით მომთხოვნი არა ვარ! – ხმამაღლა წამოიძახა ბინგლიმ, – პატიოსან სიტყვას გაძლევ, ამდენ სასიამოვნო გოგონას ჩემს ცხოვრებაში არ შევხვედრივარ, რამდენიც დღეს საღამოს ვნახე. რამდენიმე მათგანი კი მართლა გამორჩეულად ლამაზია.

– ამ ოთახში მხოლოდ ერთი ლამაზი გოგონაა და მას შენ ეცეკვები, – მიუგო მისტერ დარსიმ და უფროს მის ბენეტს შეხედა.

– ღმერთო! ის ყველაზე ლამაზი არსებაა, ვინც კი ოდესმე მინახავს! მაგრამ აქ მისი ერთ-ერთი დაა, ზუსტად შენს უკან ზის, ძალიან ლამაზი გოგონაა და ჩემი აზრით, ძალიან სასიამოვნოც. ნება მიბოძე, ვთხოვო ჩემს მეწყვილეს, გაგაცნოს.

– რომელს გულისხმობ? – შეტრიალდა, ერთი წამით ელიზაბეთს შეხედა, მისი მზერა დაიჭირა, იმწამსვე ისევ აარიდა თვალი და ცივად დასძინა: – კარგია, მაგრამ იმდენად ლამაზი არა, რომ ჩემი მოხიბვლა შეძლოს და ახლა ოდნავადაც არ ვარ ხასიათზე, იმ გოგონებს დავუწყო დევნა, რომელთაც სხვა კაცები არაფრად აგდებენ. გირჩევნია, შენს მეწყვილეს დაუბრუნდე და მისი ღიმილით დატკბე, ჩემთან ტყუილად კარგავ დროს.

მისტერ ბინგლი დაყვა მის რჩევას. მისტერ დარსი იქით გავიდა. ელიზაბეთი კი დარჩა, არც ისე გულითადი გრძნობებით ამ უკანასკნელის მიმართ, თუმცა ეს ამბავი თავის მეგობრებს ხალისიანად მოუყვა, რადგან ძალიან ცოცხალი, ცელქი ხასიათი ჰქონდა და ყველაფერზე შეეძლო, გულით ეცინა.

ასე იყო თუ ისე, საბოლოო ჯამში საღამომ მთელი ოჯახისთვის სასიამოვნოდ ჩაირა. მისის ბენეტს არ გამოჰპარვია, როგორ მოიხიბლა მისი უფროსი ქალიშვილით ნედერფილდის საზოგადოება. ჯეინიც, დედამისის არ იყოს, შეაგულინა ამ ამბავმა, თუმცა ჩუმად იყო. ელიზაბეთმა იგრძნო ჯეინის კმაყოფილება. მერიმ გაიგონა, როგორ უთხრეს მასზე მის ბინგლის, სამეზობლოში ყველაზე განათლებული გოგონაარ. ქეთრინსა და ლიდიას კი გაუმართლათ და მეწყვილეების გარეშე წამით არ დარჩენილან – ჯერჯერობით მათ მხოლოდ ეს აღელვებდათ წვეულებების დროს. ამიტომაც, ლონგბორნში კარგი განწყობით დაბრუნდნენ სოფელში, სადაც ცხოვრობდნენ და რომლის მთავარი მკვიდრნიც სწორედ ისინი გახლდნენ. მისტერ ბენეტს ჯერ არ ეძინა. როგორც წესი, წიგნით ხელში გულგრილი იყო დროის მიმართ; ამჯერად კი ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა საღამოს ამბების გამო, ამდენი შესანიშნავი იმედი რომ ჩასახა. მისტერ ბენეტი ცოლისგან უცნობი კაცით იმედგაცრუებას მოელოდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ სულ სხვა ამბავი ჰქონდა მოსასმენი.

– ო, ჩემო ძვირფასო მისტერ ბენეტ! – დაიწყო მისის ბენეტმა ოთახში შესვლისთანავე, – ყველაზე საოცარი საღამო იყო, საუკეთესო მეჯლისი! ნეტავ, შენც ყოფილიყავი. ჯეინით ყველა მოიხიბლა, ასეთი არაფერი მინახავს. ყველა ამბობდა, რა კარგად გამოიყურებაო. მისტერ ბინგლის ძალიან მოეწონა, ორჯერ ეცეკვა. წარმოიდგინე, საყვარელო, მართლა ორჯერ ეცეკვა! ერთადერთი მას სთხოვა მეორედ ცეკვა. თავიდან მის ლუკასი დაპატიჟა. ძალიან გავჯავრდი, მასთან ერთად რომ დავინახე, მაგრამ როგორც ჩანს, ბინგლის სულაც არ მოეწონა – ხომ იცი, სინამდვილეში არავის მოსწონს?! ჯეინით კი აშკარად გონების დაკარგვამდე მოიხიბლა, როცა ეცეკვებოდა. ჰოდა, გაარკვია ვინაობა, გაეცნო და საცეკვაოდ ორჯერ გაიწვია. მერე მესამე ცეკვა მის კინგთან იცეკვა, მეოთხე – მარია ლუკასთან, მერე მეხუთე ისევ ჯეინთან და მეექვსე – ლიზისთან და "ბულანჟე"[1] ...

---

[1] "ბულანჟე" - ფრანგული ცეკვა, პოპულარული მე-18 საუკუნეში. მოცეკვავეები წრეში დგებოდნენ და იმგვარად მოძრაობდნენ, რომ ცეკვას თითქმის ყველა საწინააღმდეგო სქესის მოცეკვავესთან ახერხებდნენ.

– ჩემ მიმართ მცირედი თანაგრძნობა მაინც რომ გამოეჩინა, – დაიყვირა მოთმინებადაკარგულმა ქმარმა, – ამის ნახევარსაც კი არ იცეკვებდა! ღვთის გულისათვის, აღარაფერი მითხრა მის მეწყვილეებზე. ნეტავ, პირველივე ცეკვის დროს მყესი დასჭიმვოდა!

– ჩემო ძვირფასო, – აგრძელებდა მისის ბენეტი, – აღფრთოვანებული ვარ. იცი, როგორი სიმპათიურია?! მისი დებიც მომხიბლავი ქალბატონები არიან. მათ კაბებზე ელეგანტური ამქვეყნად არაფერი მინახავს. ჩემი აზრით, მისის ჰერსტის მაქმანი...

აქ მისის ბენეტს კვლავ გააწყვეტინეს სიტყვა. მისტერ ბენეტი მორთვა-მოკაზმულობის ნებისმიერ აღწერას აპროტესტებდა. ამიტომაც, ქალი იძულებული გახდა, ისტორიის სხვა ნაწილზე გადასულიყო და აღტკინებულმა, სიმწვავითა და გადაჭარბებით მისტერ დარსის თავხედობაზე დაიწყო საუბარი.

– მაგრამ დამიჯერე, – დააყოლა მისის ბენეტმა, – ლიზის არაფერი აკლდება იმით, რომ დარსის გემოვნებაში არ ჯდება, რადგანაც ყველაზე უსიამოვნო, საზიზღარი კაცია და საერთოდ არ იმსახურებს სიმპათიას. ისეთი ქედმაღალია და თვითკმაყოფილი, რომ შეუძლებელია მისი ატანა. დადიოდა აქეთ-იქეთ და თავი დიდი კაცი ეგონა! "საკმარისად ლამაზი არ არის, რომ ეცეკვო!" – ვერ მივართვით! ნეტავ, იქ ყოფილიყავი, ძვირფასო, რომ შენებურად მოგესვა თავის ადგილას. მეზიზღება ეს კაცი.

თავი 4

როგორც კი ჯეინი და ელიზაბეთი მარტო დარჩნენ, ჯეინმა, რომელიც მანამდე მისტერ ბინგლის ქებისაგან თავს იკავებდა, დას გაანდო, ამ კაცით საოცრად მოვიხიბლეო.

– ზუსტად ისეთია, ახალგაზრდა კაცი როგორიც უნდა იყოს, – თქვა ჯეინმა, – გონიერი, მხიარული, სიცოცხლით სავსე. ასეთი კარგი მანერების ადამიანს ჯერ არ შევხვედრივარ! როგორი უშუალოა და თან როგორი კარგად აღზრდილი.

– და ლამაზიც არის, – მიუგო ელიზაბეთმა, – რაც ასევე სჭირდება ახალგაზრდა კაცს. ამგვარად, მისტერ ბინგლი შეგვიძლია სრულყოფილებად მივიჩნიოთ.

– მეორედ რომ დამპატიჟა საცეკვაოდ, ძალიან მესიამოვნა. არ ველოდი ასეთ კომპლიმენტს.

– რატომაც არა? მე ველოდი, რომ ასე მოიქცეოდა. თუმცა ჩვენს შორის ეს ერთი დიდი სხვაობაა: კომპლიმენტები შენ ყოველთვის განცვიფრებს, მე კი არასდროს. ამაზე ბუნებრივი რა უნდა ყოფილიყო, შენ რომ დაგპატიჟა საცეკვაოდ?! აშკარად შეამჩნია – დარბაზში ყველა ქალზე გაცილებით ლამაზი იყავი, აბა, მის გალანტურობას კი არ უნდა ვუმადლოდეთ?! რასაკვირველია, ძალიან სასიამოვნო კაცია და ნებას გრთავ, მოგწონდეს. გაცილებით სულელი ადამიანები მოგწონებია.

– ლიზი, ჩემო საყვარელო!

– ოჰ! ხომ იცი, ზოგადად მიდრეკილება გაქვს, ადამიანებში მუდამ კარგი დაინახო?! ნაკლს ვერავისში ამჩნევ. მთელი სამყარო კეთილშობილი და შეხმატკბილებულია შენს თვალში. არ გამიგია, სულიერ არსებაზე რაიმე ცუდი გეთქვას.

– არ მინდა ვინმე ნაჩქარევად გავკიცხო, მაგრამ ყოველთვის იმას ვამბობ რასაც ვფიქრობ.

– ვიცი, რომ ასეა. და სწორედ ესაა უცნაური: საღად აზროვნებ და ამავე დროს გულახდილად ბრმა ხარ სხვათა სიბრიყვეებისა და სისულეელების მიმართ! ყალბი კეთილშობილება საკმაოდ გავრცელებული თვისებაა, თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეხვდები, მაგრამ ყოველგვარ თვალთმაქცობასა და ანგარებას მოკლებული კეთილშობილება მხოლოდ შენ გახასიათებს, ყველას ხასიათში კარგს ხედავ, ამ კარგს კიდევ უფრო აბუქებ და უარყოფითს ვერაფერს ამჩნევ. ჰოდა, ამ კაცის დებიც მოგეწონა, არა? მისნაირი მანერები ნამდვილად არა აქვთ ამ ქალბატონებს.

– თავიდან, ცხადია, არ მომეწონა, მაგრამ მათთან საუბრის მერე, მიხვდები, რომ საკმაოდ სასიამოვნო ქალები არიან. მის ბინგლი თავის ძმასთან იცხოვრებს, სახლს მიხედავს და ჩემი აზრით, შევცდებით, მისი სახით მშვენიერ მეზობელს თუ არ გავიჩენთ.

ელიზაბეთი დას ჩუმად უსმენდა, მაგრამ არ სჯეროდა. ქალბატონების საქციელი შეკრებაზე სხვებზე კარგი შთაბეჭდილების მოსახდენად ნამდვილად არ იყო გათვლილი. დაზე უფრო სხარტი დაკვირვება, ნაკლებად რბილი ხასიათი და საღი მსჯელობა, რომელიც მიკერძოებული გრძნობებით არ იყო გაჯერებული, ელიზაბეთს საშუალებას არ აძლევდა, მათ მიმართ კეთილად განწყობილიყო. სიმართლე რომ ვთქვათ, ბინგლის დები მშვენიერი ქალბატონები იყვნენ, არც იუმორის გრძნობა აკლდათ, როცა კარგ ხასიათზე იყვნენ და სასიამოვნოდაც შეეძლოთ მოქცევა, როცა თავად უნდოდათ, მაგრამ ამაყები იყვნენ და თავმომწონენი. საკმაოდ ლამაზადაც გამოიყურებოდნენ, განათლება ქალაქის ერთ-ერთ პირველ კერძო სემინარიებში ჰქონდათ მიღებული, მათი ქონება ოცი ათასს შეადგენდა, უფრო მეტის ხარჯვას იყვნენ დაჩვეულები და მაღალი საზოგადოების ხალხთან ურთიერთობა უყვარდათ. ამდენად, სრული უფლება ჰქონდათ საკუთარ თავზე კარგი წარმოდგენის ყოფილიყვნენ , სხვებზე კი – ცუდისა. საპატივსაცემო ოჯახიდან იყვნენ ჩრდილოეთ ინგლისიდან. ამას კი მათ მეხსიერებაზე უფრო ღრმა კვალი დაეტოვებინა, ვიდრე იმას, რომ მათი ქონება ვაჭრობის შედეგად იყო დაგროვილი.

მისტერ ბინგლის მამისგან მემკვიდრეობით დაახლოებით ასი ათასი ფუნტი ერგო. უფროს ბინგლის მამულის შესყიდვა ჰქონდა განზრახული, მაგრამ სიკვდილმა მოუსწრო. ახლა მისტერ ბინგლის ჰქონდა იგივე განზრახვა და ერთხანს საკუთარ საგრაფოში ფიქრობდა რაიმეს არჩევას. თუმცა, რადგან ახლა მშვენიერი სახლი და მამული მის განკარგულებაში იყო, ყველა, ვინც კი მის ლაღ ხასიათს კარგად იცნობდა, ამ გეგმებს ეჭვის თვალით უყურებდა – მთელ ცხოვრებას მაინც ნედერფილდში გაატარებს და მომავალ თაობას დაუტოვებს მამულის შესყიდვის საქმესო.

ბინგლის დებს ძალიან უნდოდათ, ძმას საკუთარი მამული რომ ჰქონოდა. და მართალია, ის ჯერ მხოლოდ ქირაობდა, მის ბინგლი ნამდვილად არ იტყოდა უარს, ძმის სახლში უფროსი თვითონ რომ ყოფილიყო; მისის ჰერსტსაც უნდოდა, ძმის სახლი თავისად მაშინ მიეჩნია, როცა კი ეს დასჭირდებოდა. ამ უკანასკნელის ქმარი მხოლოდ გვარიშვილობით თუ დაიტრაბახებდა და არა ქონებით. მის-

ტერ ბინგლის სრულწლოვნად შექმნიდან ორიოდე წელი იყო გასული, როცა მას ნედერფილდის სახლის დათვალიერება შემთხვევით ურჩიეს. სახლისა და ეზოს დასათვალიერებლად ნახევარი საათიც არ დასჭირვებია, რომ იქაური სიტუაცია და მთავარი ოთახები მოეწონა, სახლის შესახებ მეპატრონის საქებარი სიტყვებით დაკმაყოფილდა და ნედერფილდი მაშინვე იქირავა.

მიუხედავად განსხვავებული ხასიათებისა, ბინგლი და დარსი უახლოესი მეგობრები გახლდნენ. დარსის უყვარდა ბინგლის რბილი, გულღია ბუნება და მისი დამყოლი ხასიათი, თუმცა ეს თვისებები სრულიად საპირისპირო იყო მისი ბუნებისა და არც საკუთარი ბუნებით ჩანდა ოდესმე უკმაყოფილო. ბინგლი დარსის მტკიცედ ენდობოდა და მის მსჯელობებზე საუკეთესო აზრისა იყო. აზროვნების თვალსაზრისით, დარსი სჯობდა. რა თქმა უნდა, არც ბინგლიზე ითქმოდა უგუნური, მაგრამ დარსი უფრო ჭკვიანი იყო. ამასთან, დარსი ქედმაღალი, გულჩათხრობილი და მომთხოვნი ადამიანი იყო; მანერები კი დახვეწილი ჰქონდა, მაგრამ საურთიერთოდ არ განგაწყობდა. ამ მხრივ, მისი მეგობარი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო. სადაც არ უნდა ყოფილიყო, ბინგლი ყველას მოსწონდა, ხოლო დარსი ადამიანებს მუდმივად შეურაცხყოფას აყენებდა.

ამ ორი მეგობრის დამოკიდებულება მერიტონის შეკრების შესახებ, მათ ხასიათებს კარგად წარმოაჩენდა: ბინგლის უფრო სასიამოვნო და ლამაზი გოგონები ცხოვრებაში არ ენახა, მის მიმართ ყველა კეთილგანწყობასა და ყურადღებას ავლენდა, ფორმალობა და დაძაბულობა მის ირგვლივ არასოდეს იგრძნობოდა, ძალიან მალე ყველა იქ მყოფი გაიცნო და მის ბენეტი ულამაზეს ანგელოზად მიიჩნია. დარსიმ კი პირიქით – ოთახში შეკრებილები შეუხედავ, მდაბიო ხალხად აღიქვა, მცირედითაც არ დაინტერესებულა არც ერთი მათგანით და არც მათგან მიუღია ყურადღება თუ სითბო. მის ბენეტის მომხიბლაობა აღიარა, მაგრამ ისიც დააყოლა, ზედმეტად ბევრს იღიმისო.

მისის ჰერსტიცა და მისი დაც დაეთანხმნენ დარსის, მაგრამ მის ბენეტით მაინც მოიხიბლნენ, ამბობდნენ, საყვარელი გოგონაო, და არ იყვნენ წინააღმდეგნი, ის უკეთ გაეცნოთ. ამგვარად, მის ბე-

ნეტს საყვარელი გოგონას სახელი მიენიჭა და ამ ქების საფუძველზე მათი ძმაც უფლებამოსილად გრძნობდა თავს, ისე მოპყრობოდა მას, როგორც თავად მოესურვებოდა.

თავი 5

ლონგბორნიდან მცირე სავალზე ერთი ოჯახი ცხოვრობდა, რომელთანაც ბენეტები ძალიან დაახლოებულნი იყვნენ. სერ უილიამ ლუკასი მერიტონის ყოფილი ვაჭარი გახლდათ, სადაც გარკვეული ქონება დაეგროვებინა და მისი მერობის დროს მეფესთან თავის გამოჩენის წყალობით მისთვის რაინდის ტიტულიც მიენიჭებინათ. სერ უილიამზე ამგვარმა პატივმა ძლიერ იმოქმედა. მას შესძულდა თავისი საქმე და ცხოვრება პატარა, სავაჭრო ქალაქში, მიატოვა ყველაფერი და ოჯახთან ერთად მერიტონიდან დაახლოებით ერთი მილის მანძილზე გადავიდა – ადგილზე, რომელსაც იმ დროიდან "ლუკას ლოჯი" ეწოდა. იქ სერ უილიამი განცხრომით შეძლებდა საკუთარ მნიშვნელოვან სტატუსზე ფიქრს და საქმეებისაგან თავისუფალი, თავს მხოლოდ მთელი ქვეყნის წინაშე სამოქალაქო ვალდებულებით დაიკავებდა. საპატიო წოდებას შეეგულიანებინა, მაგრამ მედიდური მაინც არ გაეხადა, პირიქით – ყველას სული და გული იყო, მისგან ყურადღება არც ერთ სულიერს არ აკლდა. ბუნებით უწყინარი, მეგობრული და დაუზარელი, სენტ ჯეიმსის[1] წარდგინებას კიდევ უფრო თავაზიანად ექცია.

ლედი ლუკასი ძალიან კეთილშობილი ქალი გახლდათ, თუმცა არც ისეთი ჭკვიანი, რომ მისის ბენეტის საყვარელი მეზობელი გამხდარიყო. რამდენიმე შვილი ჰყავდათ, ყველაზე უფროსი, შეგნებული, გონიერი ოცდაშვიდიოდე წლის ახალგაზრდა ქალი, ელიზაბეთის ახლო მეგობარი იყო.

მეჯლისის შემდეგ მის ლუკასებისა და მის ბენეტების შეხვედრა და საუბარი თითქმის აუცილებელი საქმიანობა იყო. ამიტომაც,

---

[1] სენტ-ჯეიმსი - ლონდონის ძველი სამეფო რეზიდენცია, თუმცა იმდროინდელი სამეფო ოჯახი უკვე ბუკინგემის სასახლეში ცხოვრობდა.

შეკრების მეორე დილას ამბების გასაზიარებლად ლუკასები ლონგ-ბორნისკენ გაეშურნენ.

– საღამო მშვენივრად დაიწყე, შარლოტ, – მიმართა თავდაჭერილი თავაზიანობით მისის ბენეტმა, – მისტერ ბინგლის პირველი არჩევანი შენ იყავი.

– ჰო, თუმცა როგორც ჩანს, მეორე არჩევანი უფრო მოეწონა.

– ო! ჯეინს გულისხმობ ალბათ, რადგანაც ორჯერ ეცეკვა. სიმართლე რომ ვთქვათ, ისე ჩანდა, რომ მოეწონა – არა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასე იყო – გავიგონე კიდეც რაღაცა, მაგრამ წესიერად არც მახსოვს, რაღაცა მისტერ რობინსონთან დაკავშირებით.

– ალბათ იმას გულისხმობთ, მე რასაც მოვკარი ყური ბინგლისა და მისტერ რობინსონის საუბრისას. არ მითქვამს თქვენთვის? მისტერ რობინსონი ეკითხებოდა, როგორ მოგწონთ ჩვენი საზოგადოებაო, დარბაზში ხომ ბევრი ლამაზი გოგონაა და ყველაზე მეტად, რომლით მოიხიბლეთო. მაშინვე უპასუხა: "ო, უფროსი მის ბენეტით უეჭველად, აქ ორი აზრი არ არის".

– ღმერთო ჩემო! აი, ეს თამამი პასუხია! ასეა ნამდვილად, თუმცა ხომ იცი, შეიძლება არც არაფერი გამოვიდეს.

– ჩემი ყურმოკრულები უფრო ხეირიანი გამოდგა, ვიდრე შენი, ელიზა, – თქვა შარლოტმა, – ჩემი აზრით, მისტერ დარსი, მეგობრისგან განსხვავებით, მოსმენის ღირსი არაა. საბრალო ელიზა! თურმე "უბრალოდ კარგი" ხარ.

– გემუდარები, არ ჩაუდო ლიზის თავში, რომ დარსის უსაქციელობის გამო უნდა გაღიზიანდეს. ისეთი უსიამოვნო კაცია, რომ ნამდვილი უბედურებაა, თუ მას მოსწონხარ. წუხელ მისის ლონგმა მითხრა, ნახევარი საათი ისე იჯდა ჩემს გვერდით, პირი არ გაუღიაო.

– დარწმუნებული ხართ, მემ? ხომ არ ცდებით?! – იკითხა ჯეინმა, – მე დავინახე, რომ ლაპარაკობდნენ.

– აჰა, იმიტომ, რომ ბოლო-ბოლო მისის ლონგმა ჰკითხა, როგორ მოგწონთ ნედერფილდიო, და სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა ეპასუხა, მაგრამ მისის ლონგის თქმით, საკმაოდ გაბრაზებული ჩანდა, რომ საერთოდ დაელაპარკნენ.

– მის ბინგლიმ მითხრა, – თქვა ჯეინმა, – უცნობებთან ცოტას ლაპარაკობსო, ახლობლებთან ძალიან თავაზიანი ყოფილა.

– ერთი სიტყვისაც კი არ მჯერა, ჩემო საყვარელო. ასეთი კარგი თუ არის, მისის ლონგს დაელაპარაკებოდა. მაგრამ ვხვდები, რაც მოხდა: ყველა ამბობს, რომ სიამაყით არის შეპყრობილი და ჩემი აზრით, საიდანღაც გაიგო, მისის ლონგს რომ თავისი ეტლი არა ჰყავს და უბრალო დაქირავებული ეტლით რომ მოვიდა მეჯლისზე.

– არ მადარდებს, მისის ლონგს თუ არ დაელაპარაკა, – თქვა მის ლუკასმა, – მაგრამ ძალიან მინდოდა, ელიზასთან რომ ეცეკვა.

– შენს ადგილას რომ ვიყო, ლიზი, – მიმართა დედამ, – შემდეგ ჯერზე ამ კაცთან არ ვიცკეკვებდი.

– დარწმუნებული იყავით, მემ. შემიძლია დაგპირდეთ, რომ მასთან არასდროს ვიცეკვებ.

– სიამაყე, ზოგადად, ძალიან მაბრაზებს, – თქვა მის ლუკასმა, – მაგრამ მის სიამაყეს ისე არ გამოვყავარ წყობიდან – მას ეპატიება. არაა გასაკვირი, რომ ასეთი კარგი ოჯახიშვილი და დიდი ქონების პატრონი ახალგაზრდა კაცი დიდი წარმოდგენის იყოს საკუთარ თავზე. არ ვიცი, სწორად როგორ ვთქვა, მაგრამ ჩემი აზრით, მას აქვს უფლება, რომ იამაყოს.

– მართალი ხარ, – მიუგო ელიზაბეთმა, – და მეც იოლად ვაპატიებდი თავის სიამაყეს, ჩემი რომ არ აეგდო აბუჩად.

– ჩემი აზრით, – სიტყვა ჩააგდო საკუთარი აზრის სიმტკიცით გათამამებულმა მერიმ, – სიამაყე ძალიან გავრცელებული სისუსტეა. ჩემ მიერ წაკითხული ყველა წიგნი მარწმუნებს, რომ ამ თვისებას მართლაც ძალიან ხშირად წააწყდები; ადამიანური ბუნება სიამაყისკენ მიდრეკილია და ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც ხელისგულზე არ ატარებს თვითკმაყოფილების გრძნობას, რომელიც რაიმე რეალური თუ წარმოსახული თვისების ხარჯზეა შექმნილი. პატივმოყვარეობა და სიამაყე სხვადასხვა რამაა, თუმცა ხშირად სინონიმურად იხმარება. შეიძლება ადამიანი ამაყი იყოს, პატივმოყვარე კი არა. სიამაყე კავშირშია უფრო ჩვენს აზრთან საკუთარი თავის შესახებ, პატივმოყვარეობა კი იმასთან, რასაც გვინდა, რომ სხვები ფიქრობდნენ ჩვენზე.

– მისტერ დარსივით მდიდარი რომ ვიყო, – წამოიძახა დებთან ერთად მოსულმა ახალგაზრდა ლუკასმა, – სულ არ ვიდარდებდი, ამაყი ვარ თუ არა. უამრავი მეძებარი ძაღლი მეყოლებოდა და ყოველდღე ერთ ბოთლ ღვინოს დავლევდი.

– ჰოდა, ზომაზე მეტის დალევა მოგივიდოდა, – თქვა მისის ბენეტმა, – და ამ დროს მე რომ დამენახე, მაგ ბოთლს მაშინვე გამოგტაცებდი ხელიდან.

ბიჭმა გააპროტესტა, ვერ გამომტაცებდითო. მისის ბენეტი არ ცხრებოდა, როგორ ვერ გამოგტაცებდიო. კამათს კი მხოლოდ სტუმრების წასვლამ მოუღო ბოლო.

თავი 6

ლონგბორნელი ქალბატონები ნედერფილდელ ქალბატონებს ელოდებოდნენ. ეს საპასუხო ვიზიტი სათანადო წესების დაცვით მალევე შედგა. მის ბენეტის სასიამოვნო მანერებმა მის ბინგლისა და მისის ჰერსტის კეთილგანწყობაზე იმოქმედა და მიუხედავად იმისა, რომ მათი აზრით, დედა სრულიად აუტანელი ქალი იყო, დებს კი დალაპარაკების ღირსადაც არ თვლიდნენ, მათი უკეთ გაცნობის სურვილი ორი უფროსი დის მიმართ გამოიხატა. ჯეინმა ეს ყურადღება დიდი სიხარულით მიიღო, მაგრამ ელიზაბეთი მათ ქცევებში კვლავ ამპარტავნებას ხედავდა, მის დასაც კი არ ეპყრობოდნენ მთლად კარგად და ამდენად, ამ ქალების მოწონება არ შეეძლო. თუ რაიმე მხრივ ჯეინის მიმართ სიკეთეს ავლენდნენ, ეს უდავოდ, იმის გამო ხდებოდა, რომ ბინგლი იყო მისით აღტაცებული. ყველასათვის ცხადი გახლდათ, რომ როცა კი ჯეინი და მისტერ ბინგლი ერთმანეთს ხვდებოდნენ, ჯენტლმენი ჯეინს აღტაცებაში მოჰყავდა. ელიზაბეთისთვის ისიც ცხადი იყო, რომ ჯეინი ბინგლის მიმართ პირველივე დღეს გაჩენილ სიმპათიას არ უძალიანდებოდა და ახლა უკვე ძლიერად უყვარდებოდა ეს კაცი. მაგრამ ელიზაბეთმა, თავისდა სასიხარულოდ, იცოდა, რომ ეს ამბავი მთელ ქვეყანას ასე იოლად არ მოედებოდა: ძლიერ გრძნობას ჯეინი იმგვარ თავშეკავებულობასა და სიხალისეს უთავსებდა, რომ კადნიერი ხალხის

ეჭვებისგან მუდამ დაცული იყო. ელიზაბეთმა ეს აზრები თავის მეგობარს, მის ლუკასს გაუზიარა.

– კარგია, როცა შეგიძლია, ასეთ დროს ხალხს თვალი აუხვიო, – უპასუხა შარლოტმა, – თუმცა ხანდახან ამგვარი სიფრთხილე არ არის სახეირო. თუ ქალი თავის გრძნობებს რჩეულისგანაც მალავს, შესაძლოა ხელიდან გაუშვას მისი შენარჩუნების შანსი. მერე კი მიდი და თავი იმით ინუგეშე, რომ ხალხმაც არაფერი იცოდა. თითქმის ყველა ურთიერთობა იმ დონის მადლიერებასა და პატივმოყვარეობას შეიცავს, რომ არ ღირს მისი დაუდევრად მიტოვება. ყველა ჩვენგანი თავიდან თავისუფლად ვიწყებთ – მცირედი მოწონება საკმაოდ ბუნებრივი რამაა, მაგრამ ცოტას თუ გვყოფნის გული, წრფელად შეგვიყვარდეს, ყოველგვარი წაქეზების გარეშე. ათიდან ცხრა შემთხვევაში ქალი კაცს იმაზე მეტ სიმპათიას უნდა აჩვენებდეს, ვიდრე სინამდვილეში გრძნობს. ბინგლის უდავოდ მოსწონს შენი და, მაგრამ შეიძლება, მოწონება მოწონებად დარჩეს, ჯეინი თუ არ წაეშველება ცოტას.

– წაეშველება, მაგრამ იმდენად, რამდენადაც საკუთარი ბუნება მისცემს ამის საშუალებას. მე თუ ვამჩნევ ჯეინის დამოკიდებულებას მის მიმართ, მაშინ ბინგლი ნამდვილი მიამიტი უნდა იყოს, რომ ვერ დაინახოს.

– ნუ გავიწყდება, ელიზა, ის შენსავით არ იცნობს ჯეინის ხასიათს.

– მაგრამ თუ ქალი კაცის მიმართ არ არის გულგრილი და ცდილობს, დაფაროს გრძნობები, მაშინ კაცმა ეს თავად უნდა აღმოაჩინოს.

– ალბათ ასეც უნდა იყოს, მაგრამ მაშინ, როცა ქალთან საკმაოდ დიდ დროს ატარებს. მართალია, ბინგლი და ჯეინი ერთმანეთს იშვიათად არ ხვდებიან, მაგრამ ერთად საკმარის დროს არასდროს ატარებენ. და რახან დიდ, ხალხმრავალ წვეულებებზე ნახულობენ ერთმანეთს, შეუძლებელია, მთელ დროს პირად საუბრებს უთმობდნენ. ამიტომაც, ჯეინმა ყოველი წუთი ბინგლის ყურადღების მოსაპოვებლად უნდა გამოიყენოს. ხოლო, როცა მის გულს საბოლოოდ დაიპყრობს, მერე უკვე დროც ექნება, რომ შეუყვარდეს, თუ სურს.

– კარგი გეგმა შეგიდგენია, – მიუგო ელიზაბეთმა, – რომელიც სხვას არაფერს ითვალისწინებს, თუ არა კარგად გათხოვების სურვილს. მდიდარი ქმრის ან საერთოდ ქმრის შოვნა რომ მინდოდეს, სიამოვნებით ავითვისებდი. ჯეინის გრძნობებიც სხვაა, ამ განზარხვით არ ხელმძღვანელობს, რადგან ჯერ საკუთარი გრძნობის არც სიღრმესა და არც კეთილგონიერებაში დარწმუნებული არ არის. მხოლოდ ორი კვირაა, რაც ბინგლის იცნობს. ოთხჯერ ეცეკვა მერიტონში, ერთი დილა მის სახლში გაატარა და მის საზოგადოებაში ოთხჯერ ისადილა. მისი ხასიათის შესასწავლად საკმარისი არ არის.

– როგორც შენ წარმოაჩინე, ნამდვილად არაა საკმარისი. მასთან უბრალოდ რომ ესადილა, მხოლოდ იმის საშუალება ექნებოდა, გაეგო, როგორი მადა აქვს, მაგრამ ის ერთად გატარებული ოთხი საღამო არ უნდა დაგავიწყდეს, ოთხ საღამოს კი დიდი საქმის გაკეთება შეუძლია.

– ჰო. ამ ოთხ საღამოში დარწმუნდნენ, რომ ორივეს "ბლეკჯეკი"[1] ურჩევნია "კომერსს"[2]. რაც შეეხება სხვა მნიშვნელოვან თვისებებს, არა მგონია, ბევრი რამ აღმოეჩინათ.

– ასეა თუ ისე, – დასძინა შარლოტმა, – ჯეინს მთელი გულით წარმატებას ვუსურვებ. ხვალვე რომ გაჰყოლოდა ცოლად, ვიფიქრებდი, ბედნიერების ისეთივე კარგი შანსი აქვს-თქო, როგორც ერთი წლის მერე, როცა მისი ხასიათი ექნებოდა შესწავლილი. ბედნიერება ქორწინებაში მთლიანად იღბალზეა დამოკიდებული. ბედს ვერაფერი შეცვლის – ვერც ის, რომ წყვილი ერთმანეთის ხასიათს კარგად იცნობს და ვერც ის, რომ სულაც მსგავსი ხასიათები აქვს. ყოველთვის ისე ხდება, რომ შემდეგ საკმარისად განსხვავებულნი აღმოჩნდებიან და გარკვეული გაღიზიანებაც გარდაუვალია. ასე რომ, უმჯობესია, რაც შეიძლება ცოტა იცოდე იმ ადამიანის ნაკლოვანებებზე, რომელთან ერთადაც ცხოვრების გატარებას აპირებ.

---

[1] "ბლეკჯეკი" - ბანქოს თამაშის სახეობა, ასევე ცნობილი, როგორც "ოცდაერთი".

[2] "კომერსი" - ბანქოს თამაშის ფრანგული სახეობა, რომელიც მოთამაშეთა რაოდენობით არაა შეზღუდული.

– მეცინება, შარლოტ, მაგრამ არაა ეს საღი აზრი. შენც იცი, რომ არაა და თავად ასე არასდროს მოიქცეოდი.

დის მიმართ მისტერ ბინგლის ყურადღების ჟესტების დაკვირვებით გატაცებულ ელიზაბეთს, საერთოდ არ შეუმჩნევია, რომ ნელ-ნელა თვითონ ხდებოდა ბინგლის მეგობრის ინტერესის ობიექტი. თავიდან მისტერ დარსიმ ძლივს აღიარა მისი სილამაზე, მეჯლისზე ელიზაბეთისთვის აღფრთოვანებით ნამდვილად არ შეუხედავს, შემდეგ შეხვედრაზე კი მხოლოდ იმიტომ შეხედა, რომ გაეკიცხა. მაგრამ მალევე, როცა თავის მეგობრებთან ერთად დაასკვნა, ლამაზი თითქმის არაფერი აქვსო, აღმოაჩინა, რომ მის სახეს უჩვეულოდ ჭკვიანურ ელფერს აძლევდა ულამაზესი გამომეტყველების მქონე შავი თვალები. ამ აღმოჩენას სხვა გაბედული შეფასებებიც მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ თავისი კრიტიკული თვალით მის სხეულში სრულყოფილების არაერთი ნაკლი შეამჩნია, იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ მსუბუქი და სასიამოვნო ფიგურა ჰქონდა და მიუხედავად მისი დაჟინებული მტკიცებისა, ელიზაბეთის მანერები მაღალი საზოგადოების ქცევებთან ახლოს ვერ მივაო, ამ მანერების სილაღითა და სითამამით დარსი უდავოდ მოხიბლული იყო. ამ ყველაფრის შესახებ ელიზაბეთს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. მისთვის დარსი უბრალოდ უსიამოვნო კაცი იყო, რომელმაც სათანადოდ ლამაზად არ მიიჩნია, რომ საცეკვაოდ მიეწვია.

დარსიმ გადაწყვიტა, ელიზაბეთი უკეთ გაეცნო და მასთან სასაუბროდ ნაბიჯების გადადგმას შეუდგა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ გოგონასა და სხვების საუბრებს ესწრებოდა. ჯენტლმენის ქცევები ელიზაბეთს არ გამოპარვია. ეს პირველად სერ უილიამ ლუკასთან დიდი წვეულების დროს მოხდა:

– რას აკეთებს ამით მისტერ დარსი, პოლკოვნიკ ფორსტერისა და ჩემს საუბარს რომ უსმენს? – მიმართა ელიზაბეთმა შარლოტს.

– მხოლოდ მისტერ დარსის შეუძლია, ამ კითხვაზე პასუხი გაგცეს.

– მაგრამ თუ არ გაჩერდება, ნამდვილად გავაგებინებ, რომ ვიცი, რასაც აკეთებს. ძალიან ირონიული მზერა აქვს და ცოტა თუ არ გავუკადნიერდი, მალე მისი შემეშინდება.

ამის შემდეგ მალე მათ დარსი მიუახლოვდა, თუმცა ლაპარაკის განზრახვა არ ემჩნეოდა. მის ლუკასმა კი მეგობარი როგორღაც გამოიწვია, რომ დარსისთან ჩაფიქრებული საკითხი წამოეჭრა. ელიზაბეთიც მაშინვე წამოეგო, დარსის მიუტრიალდა და უთხრა:

– არ ფიქრობთ, მისტერ დარსი, რომ სულ ახლახან უჩვეულოდ კარგად გამოვხატე აზრი, როცა პოლკოვნიკ ფორსტერს მერიტონში მეჯლისის გამართვის შესახებ ჩავაცივდი?

– აღტკინებით ლაპარაკობდით, მაგრამ ეს ის თემაა, რაც ქალბატონებს მუდამ ენთუზიაზმით აღავსებთ.

– ძალიან მკაცრად განგვსჯით.

– აი, ახლა ვნახოთ, ვისი გაჯავრების ჯერი დადგა, – თქვა მის ლუკასმა, – პიანინო უნდა გავხსნა და იცი, ამას რაც მოჰყვება.

– ძალიან უცნაური არსება ხარ მეგობრის კვალობაზე! ყოველთვის გინდა, რომ ყველაზე პირველმა დავუკრა და ვიმღერო! მუსიკალური ამბიციები რომ მქონოდა, ფასდაუდებელი იქნებოდი, მაგრამ რახან ასე არაა, უმჯობესია, ინსტრუმენტს არ მივუჯდე იმ ხალხის წინაშე, ვინც წესით საუკეთესო შესრულების მოსმენასაა მიჩვეული.

თუმცა, როცა მის ლუკასმა დაიჟინა, დაუკარიო, ელიზაბეთმა დაამატა:

– ძალიან კარგი, თუ ასეა საჭირო, ასეც იქნება, – მერე კი სერიოზული გამომეტყველებით შეავლო მისტერ დარსის თვალი და დასძინა, – არის ერთი ძველი, კარგი გამოთქმა, რომელიც რა თქმა უნდა, ყველა აქ შეკრებილმა იცის: "თუ სათქმელი არ გაქვს, სჯობს ენას კბილი დააჭირო", მაგრამ როგორც ჩანს, მომიწევს კბილების გამოჩენა.

ელიზაბეთმა სასიამოვნოდ შეასრულა სიმღერა, მაგრამ ოსტატურად ნამდვილად არა. ერთი-ორი სიმღერის შემდეგ, რამდენიმე იქ მყოფი შეეხვეწა, კიდევ დაუკარიო, მაგრამ პიანინოსთან დიდი მონდომებით მისმა დამ, მერიმ შეცვალა. მერი ერთადერთი ულამაზო ქალიშვილი იყო ოჯახში, ამის გამო ცოდნისა და განათლების მიღებაზე გამალებით ზრუნავდა და თავის გამოჩენის შანსს მოუთმენლად ელოდა ხოლმე.

მერის არც ნიჭი ჰქონდა და არც გემოვნება. სიბეჯითესთან ერთად პატივმოყვარეობას მისთვის პედანტური ელფერი და თვითკმაყოფილი მანერებიც მიეცა, რაც მერიზე უფრო ოსტატურ შემსრულებელზეც კი ალბათ უარყოფითად აისახებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ელიზაბეთი მერიზე უარესად უკრავდა, მისი სილაღისა და უშუალობის ხარჯზე მას უფრო სიამოვნებით უსმენდნენ. ასე იყო, თუ ისე, მერის ძალიან გაუხარდა, როცა შეაქეს და მადლობაც უთხრეს უმცროსი დების მოთხოვნით შესრულებული ირლანდიური და შოტლანდიური არიებისთვის. ეს უკანასკნელნი კი ოთახის ერთ ბოლოში ლუკასებთან და ორ თუ სამ ოფიცერთან ერთად მგზნებარედ ჩაერთნენ ცეკვაში.

მისტერ დარსი მათთან ახლოს იდგა, განკერძოებული ყველა საუბრებისგან; მდუმარე და აღშფოთებული იყო, ამგვარად რომ ატარებდა საღამოს და ფიქრებს ისე მოეცვა, რომ მის სიახლოვეს მყოფი სერ უილიამ ლუკასი ვერ შენიშნა, ვიდრე თავად ამ უკანასკნელმა არ წამოიწყო საუბარი:

– რა არაჩვეულებრივი გართობაა ახალგაზრდებისთვის, მისტერ დარსი! ცეკვას ხომ არაფერი სჯობს?! ჩემი აზრით, მაღალი საზოგადოების ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევაა.

– რასაკვირველია, სერ, და ის უპირატესობაც აქვს, რომ ნაკლებ მაღალ საზოგადოებაშიც პოპულარობით სარგებლობს. ცეკვა ყველა ველურს შეუძლია.

სერ უილიამს უბრალოდ გაეღიმა.

– თქვენი მეგობარი შესანიშნავად ცეკვავს, – განაგრძო პაუზის შემდეგ, როცა მისტერ ბინგლი მოცეკვავეთა ჯგუფს შეუერთდა, – ეჭვიც არ მეპარება თქვენც დახელოვნებული ხართ ამ საქმეში, მისტერ დარსი.

– მგონი, მნახეთ მერიტონში რომ ვცეკვავდი, სერ.

– ცხადია, გნახეთ და ვისიამოვნე კიდეც. სენტ ჯეიმსში ხშირად ცეკვავთ?

– არასდროს, სერ.

– არ ფიქრობთ, რომ სამეფო კარზე ცეკვა პატივი იქნებოდა?

– სადაც არ უნდა ვიყო, მუდამ ვცდილობ ამ პატივს თავი ავარიდო.

– ვგონებ, ქალაქში სახლი გაქვთ?

მისტერ დარსიმ თავი დაუქნია.

– ერთ დროს მეც ვფიქრობდი ქალაქში დამკვიდრებაზე. მაღალი საზოგადოება ძალიან მომწონს, მაგრამ არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ლონდონის ჰაერი ლედი ლუკასს მოუხდებოდა.

სერ უილიამი ცოტა ხანს გაჩერდა, იმ იმედით, რომ პასუხს მიიღებდა, მაგრამ მისი მოსაუბრე მსგავსს არაფერს აპირებდა. ამასობაში ელიზაბეთი მათკენ დაიძრა, სერ უილიამი კი ერთმა ძალიან გალანტურმა განზრახვამ შეიპყრო და ელიზაბეთს დაუძახა:

– მის ელიზა, ჩემო ძვირფასო, რატომ არ ცეკვავ? მისტერ დარსი, ნება მიბოძეთ, ეს ახალგაზრდა ქალბატონი წარმოგიდგინოთ. მეტად სასურველი მეწყვილეა. დარწმუნებული ვარ, ასეთი სილამაზის წინაშე ცეკვაზე უარს ვერ იტყვით.

გოგონას ხელი მოჰკიდა და ის იყო, მისტერ დარსისთვის უნდა გაეწოდებინა, რომელიც უკიდურესად განცვიფრდა, მაგრამ უარზე ნამდვილად არ იყო, რომ ამ დროს ელიზაბეთმა ხელი გასწია და ერთგვარი მღელვარებით სერ უილიამს მიმართა:

– სერ, მართალი რომ გითხრათ, ცეკვის სურვილი ოდნავადაც არ მაქვს და გემუდარებით, რახან აქეთ გამოვემართე, ნუ იფიქრებთ, რომ მეწყვილეს დავეძებდი.

მისტერ დარსიმ დარბაისლური თავაზიანობით მისი ხელის პატივი მოითხოვა, მაგრამ ამაოდ. ელიზაბეთი მტკიცე იყო თავის გადაწვეტილებაში და ვერც სერ უილიამმა შეარყია მისი სიმტკიცე, მიუხედავად იმისა, რომ გადარწმუნებას შეეცადა:

– იმდენად კარგად ცეკვავ, მის ელიზა, რომ საცოდაობაა, შენი ცქერის ბედნიერება დამაკლდეს და, მართალია, ამ ჯენტლმენს გართობა, ზოგადად, არ მოსწონს, დარწმუნებული ვარ, წინააღმდეგი არ იქნება, ნახევარი საათით პატივი დაგვდოს.

– მისტერ დარსი თვით თავაზიანობაა, – თქვა ელიზაბეთმა და გაიღიმა.

– ნამდვილად ასეა, მაგრამ მისი წადილის გათვალისწინებით, ჩემო ძვირფასო მის ელიზა, მისი თავაზიანობა არ უნდა გაგვიკვირდეს – თქვენისთანა მეწყვილეზე უარს ვინ იტყოდა?!

ელიზაბეთმა ცბიერად მიმოიხედა და გატრილდა. ამ წინააღმ-დეგობას ჯენტლმენის თვალში ის არ დაუკნინებია და მასზე ერთგ-ვარი სიამოვნებით შეუდგა ფიქრს, რომ ამ დროს მის ბინგლი გამოელაპარაკა:

– მგონი, ვხვდები, რაზეც ფიქრობთ.

– დარწმუნებული ვარ, არა.

– ფიქრობთ, რა აუტანელი იქნებოდა კიდევ მრავალი საღამოს ამგვარად გატარება, ამგვარ საზოგადოებაში, და თქვენს აზრს ნამდვილად ვიზიარებ. ასე არასდროს მომიწყენია! უხალისობა და თან ხმაური! ამ ხალხის არარაობა და ამავე დროს, თავმომწონეო-ბა! რას არ გავიღებდი, თქვენი კრიტიკული შეფასებებისთვის რომ მომესმინა!

– გარწმუნებთ, თქვენი ვარაუდი სრულიად მცდარია. ჩემი გო-ნება უფრო სასიამოვნო ფიქრებით იყო გატაცებული. ჩაფიქრებუ-ლი ვიყავი, რამხელა სიამოვნების მონიჭება შეუძლია ლამაზი ქა-ლის მშვენიერ თვალებს.

მის ბინგლიმ დარსის მაშინათვე დაჟინებული მზერა მიაპყრო და მოისურვა გაეგო, რომელ გოგონას ჰქონდა მისტერ დარსისთ-ვის ასეთი ფიქრების შთაგონების უნარი. მისტერ დარსიმაც შეუ-პოვრად უპასუხა:

– მის ელიზაბეთ ბენეტი.

– მის ელიზაბეთ ბენეტი! – გაიმეორა მის ბინგლიმ, – გაოცებუ-ლი ვარ. რამდენი ხანია, რაც თქვენი რჩეული გახდა? გამანდეთ, როდის უნდა მოგილოცოთ?

– ზუსტად ამ კითხვას ველოდებოდი თქვენგან. ქალის წარმო-სახვა ძალიან სწრაფია. მოწონებიდან წამიერად სიყვარულში გა-დადის, სიყვარულიდან – ცოლქმრობაში. ვიცოდი, რომ უკვე მომილოცავდით.

– არა, თუ ძალიან სერიოზულად ფიქრობთ ამის შესახებ, ჩემი აზრით, საქმე უკვე მთლიანად მოგვარებული გაქვთ. უდავოდ მომ-ხიბლავი სიდედრი გეყოლებათ და ცხადია, სულ პემბერლიში იქნე-ბა თქვენთან ერთად.

მის ბინგლი კიდევ დიდხანს იქცევდა თავს ამგვარი საუბრით, დარსი კი შესაშური გულგრილობით უსმენდა და რამდენადაც მის-

მა აუღელვებლობამ დაარწმუნა, რომ საგანგაშო არაფერი იყო, მის ბინგლიც განაგრძობდა თავის მჭევრმეტყველებას.

თავი 7

მისტერ ბენეტის თითქმის მთელ ქონებას მისი მამული შეადგენდა, რომელსაც წელიწადში ორი ათასი ფუნტი მოჰქონდა. ეს მამული მისი ქალიშვილების საუბედუროდ, მაიორატული მემკვიდრეობის[1] თანახმად, მამაკაცური ხაზით გადაიცემოდა, და რადგან ოჯახში მხოლოდ გოგონები ჰყავდათ, მისტერ ბენეტის სიკვდილის შემდეგ მას მამრობითი სქესის შორეული ნათესავი მიიღებდა. გოგონების დედის ქონება, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ მამულის დანაკლისს ნამდვილად ვერ შეავსებდა. მისის ბენეტის მამა მერიტონში ვექილი გახლდათ და ქალიშვილისთვის ოთხი ათასი ფუნტი დაეტოვებინა.

მისის ბენეტის და მისტერ ფილიპსზე იყო გათხოვილი, რომელიც მათ მამასთან მოხელედ მუშაობდა და სიმამრის გარდაცვალების შემდეგ მისი საქმე მიიღო მემკვიდრეობით; მათი ძმა კი ლონდონში მოწყობილიყო, საკმაოდ სოლიდურ სავაჭრო საქმეში.

ლონგბორნის სოფელი მერიტონიდან სულ რაღაც მილით იყო დაშორებული – ახალგაზრდა ქალბატონებისთვის საკმაოდ მოსახერხებელი მანძილით, რომლებსაც ხშირად, კვირაში სამ-ოთხჯერ უწევდათ იქეთ სიარული, დეიდა რომ მოენახულებინათ და ქუჩის მეორე მხარეს მექუდის მაღაზიაში შეევლოთ. ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წევრები, ქეთრინი და ლიდია, იქაურობას განსაკუთრებით ხშირად სტუმრობდნენ. დებთან შედარებით, გონება უფრო ქარაფშუტული

---

[1] მაიორატული მემკვიდრეობა - ჯეინ ოსტინის ეპოქაში ინგლისურად სიტყვით - entail - მოიხსენიებოდა. ეს არის ბრიტანული ლეგალური ტრადიცია, რომლის თანახმადაც, უძრავი ქონება ოჯახის უფროსი მამაკაცის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობით გადაეცემოდა უახლოეს მამრობით მემკვიდრეს, უფროს ვაჟს. ხოლო, თუ ოჯახს ვაჟი არ ჰყავდა, მაშინ ქონება მამრობითი სქესის უახლოეს ნათესავს უნდა გადასცემოდა. კანონის მიხედვით, უძრავი ქონების გაყიდვა აკრძალული იყო.

ფიქრებით ჰქონდათ დაკავებული და როცა დღე მათ საინტერესოს არაფერს უქადდა, გასეირნება მერიტონში დილის საათების გასამხიარულებლად და საღამოს საუბრების გასამდიდრებლად აუცილებელ საქმიანობას წარმოადგენდა. როგორი დაცლილიც არ უნდა ყოფილიყო მთელი მხარე ახალი ამბებისაგან, გოგონები მუდამ ახერხებდნენ, დეიდისთვის რაიმე ამბავი მაინც დაეცინცლათ. ამჯერად ისინი კარგად მარაგდებოდნენ ახალი ამბებით და ბედნიერებისთვისაც ჰქონდათ მიზეზი: სამეზობლოში ახლახან სამხედრო პოლიციის ლეგიონი ჩასულიყო, მთელი ზამთარი დარჩებოდა, ლეგიონის მთავარი სამმართველო კი სწორედ მერიტონში იყო დაბანაკებული.

ახლა მისის ფილიპსთან სტუმრობის დროს ყველაზე ნაყოფიერ, საინტერესო ცნობებს აგროვებდნენ. ყოველი დღე რაიმე ახლით ამდიდრებდა მათ ცოდნას ოფიცრების სახელებისა და კავშირების შესახებ. მათი საცხოვრებელი ბინები საიდუმლოს უკვე აღარ წარმოადგენდა და თანდათანობით თავადაც დაიწყეს ოფიცრების გაცნობა. მისტერ ფილიპსი ყოველ დღე ყველა მათგანს სტუმრობდა, რითიც მის დისშვილებს ბედნიერების აქამდე უცნობ კარებს უხსნიდა. დღე და ღამე მხოლოდ ოფიცრებზე ლაპარაკობდნენ. ხოლო ბინგლის ქონება, რომლის ხსენებასაც მათი დედა აღტაცებაში მოჰყავდა, ემბლემიან ლეგიონრებთან შედარებით მათთვის უკვე აღარაფერს წარმოადგენდა.

ერთ დილას, როცა მისტერ ბენეტმა საკმარისად ისმინა ქალიშვილების გაუთავებელი მჭევრმეტყველება ამ საკითხზე, ცივად წარმოთქვა:

– თქვენი საუბრიდან გამომდინარე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მთელ ქვეყანაში ყველაზე სულელი გოგონები ხართ. ადრე მხოლოდ ეჭვი მქონდა, ახლა კი დავრწმუნდი.

ქეთრინი შეცბუნდა და არაფერი უპასუხა, მაგრამ ლიდიამ შესაშური გულგრილობით განაგრძო საუბარი, თუ როგორ იყო კაპიტან კარტერით მოხიბლული და როგორ ჰქონდა იმედი, რომ დღის განმავლობაში მის ნახვას შეძლებდა, რადგან ხვალ დილას კაპიტანი ლონდონში მიემგზავრებოდა.

– გაოცებული ვარ, ჩემო ძვირფასო, – თქვა მისის ბენეტმა, – როგორ შეგიძლია, ასე იოლად საკუთარი შვილები სულელებად მი-

იჩნიო. ვინმეს შვილების ღირსებაში შესაძლოა, ეჭვი შემპარვოდა, მაგრამ ჩემებზე ასე ნამდვილად ვერასოდეს ვიფიქრებდი.

– თუ ჩემი შვილები სულელები არიან, ამის ცოდნის უფლება მაინც მინდა რომ მქონდეს, რათა მათზე ფუჭი იმედები არ ავაგო.

– ჰო, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველა მათგანი ძალიან ჭკვიანია.

– ვიმედოვნებ, რომ ეს ერთადერთი საკითხია, რაზეც ვერ ვთანხმდებით. იმედი მქონდა, რომ მე და შენ ყველა წვრილმანში ერთ აზრზე ვიყავით, მაგრამ გამოდის, რომ ჩვენს შორის დიდი სხვაობაა, რამდენადაც ჩემი ორი უმცროსი ქალიშვილი უჩვეულოდ სულელი მგონია.

– მისტერ ბენეტ, ჩემო საყვარელო, გოგონებისგან დედ-მამის აზროვნებას ნუ ითხოვ. როცა ჩვენს ასაკში იქნებიან, დარწმუნებული ვარ, ოფიცრებზე აღარ იფიქრებენ. მახსოვს ის დრო, როცა მეც ძალიან მომწონდა წითელი მუნდირები და გულის სიღრმეში, დღესაც არ ვარ გულგრილი. ხოლო ვინმე სასიამოვნო ახალგაზრდა პოლკოვნიკს, რომელსაც ხუთი-ექვსი ათასი აქვს შემოსავალი, ჩემი ქალიშვილის შერთვა რომ მოუნდეს, უარს არაფრით ვეტყვი. და ჩემი აზრით, იმ ღამეს, სერ უილიამთან, პოლკოვნიკ ფორსტერს ლეგიონერის ფორმა საოცრად უხდებოდა.

– დედიკო, – წამოიყვირა ლიდიამ, – დეიდა ამბობს, პოლკოვნიკი ფორსტერი და კაპიტანი კარტერი მის უოტსონთან ისე ხშირად აღარ დადიან, როგორც პირველი ჩამოსვლისასო. ახლა ხშირად კლარკის ბიბლიოთეკასთან ხედავს.

მისის ბენეტს პასუხი შიკრიკის გამოჩენამ შეაწყვეტინა: წერილი ჰქონდა მის ბენეტისათვის, წერილი ნედერფილდიდან იყო და პასუხისთვის მსახური იცდიდა. მისის ბენეტს სიამოვნებისგან თვალები აენთო და ვიდრე ქალიშვილი წერილს კითხულობდა, მას მოუთმენლად აყრიდა კითხვებს:

– აბა, ჯეინ, ვისგანაა? რას გწერენ? რას ამბობს? აბა, ჯეინ, სწრაფად წაიკითხე და გვითხარი. დაუჩქარე, ჩემო საყვარელო.

– მის ბინგლისგანაა, – უპასუხა ჯეინმა და ხმამაღლა წაიკითხა:

"ძვირფასო მეგობარო,

თუ იმდენად არ თანაგვიგრძნობთ, რომ დღეს ჩემთან და ლუიზასთან ერთად არ ისადილებთ, ჩათვალეთ, რომ მე და ჩემს დას

გვემუქრება, ერთმანეთი სამუდამოდ შეგვძულდეს. მოგეხსენებათ, ორი ქალის მიერ tête-à-tête[1] გატარებული დღე კინკლაობის გარეშე ვერაფრით დასრულდება. ჩემი ძმა და ბატონები ოფიცრებთან აპირებენ სადილობას.

მუდამ თქვენი,

კეროლაინ ბინგლი".

– ოფიცრებთან?! – წამოიძახა ლიდიამ, – ნეტავ, დეიდამ რატომ არ გვითხრა ამის შესახებ?!

– სახლში არ სადილობს?! – დაიყვირა მისის ბენეტმა, – ნამდვილად არ გაგვიმართლა.

– შეიძლება, ეტლით წავიდე? – იკითხა ჯეინმა.

– არა, ძვირფასო, ჯობია, ცხენით წახვიდე. წვიმას აპირებს, ჰოდა, იქ მოგიწევს დარჩენა.

– კარგი გეგმაა, – თქვა ელიზაბეთმა, – თუ დარწმუნებული ხართ, რომ სახლში არ გამოუშვებენ.

– ჰო, მაგრამ ბატონები მერიტონში მისტერ ბინგლის კარეტით იქნებიან წასულები, ჰერსტებს კი საკუთარი ცხენები არა ჰყავთ.

– ნამდვილად მირჩევნია, ეტლით წავიდე.

– ჰო, მაგრამ, ძვირფასო, მამაშენი ვერ მოგცემს ცხენებს, ფერმაში სჭირდებათ. ხომ ასეა მისტერ ბენეტ?

– ფერმაში უფრო ხშირად სჭირდებათ, ვიდრე მე მათ ვაძლევ ხოლმე.

– მაგრამ დღეს რომ წაიყვანოთ, – თქვა ელიზაბეთმა, – დედას მიზანი მიღწეული იქნება.

როგორც იქნა, ელიზაბეთმა მამას ათქმევინა, რომ ცხენები დაკავებული იყო. ამიტომაც, ჯეინი იძულებული გახდა, ეტლის ნაცვლად, ცხენით წასულიყო, დედამ კი ქალიშვილი კარამდე მიაცილა და მხიარული სახით ათასგვარი ცუდი ამინდის პროგნოზი უსურვა. მისი იმედები გამართლდა. ჯეინი ახალი გასული იყო, რომ წვიმამ დასცხო. დები შეწუხდნენ, მაგრამ დედას ძალიან გაუხარდა. საღა-

[1] tête-à-tête – ფრანგული სიტყვა, რომელიც ორი ადამიანის პირისპირ შეხვედრას, პირად საუბარს ნიშნავს.

მომდე შეუწყვეტლად წვიმდა. ჯეინი ნამდვილად ვერ დაბრუნდებოდა სახლში.

– მართლაც რომ კარგად მოვიფიქრე! – არაერთხელ გაიმეორა მისის ბენეტმა, გეგონება, სულ მისი დამსახურება იყო, რომ გაწვიმდა. თუმცა მომდევნო დილამდე მან ჯერ კიდევ არაფერი იცოდა საკუთარი გამჭრიახობის ნაყოფიერების შესახებ. საუზმე არც ჰქონდათ დამთავრებული, რომ ნედერფილდელმა მსახურმა ელიზაბეთისთვის აი, ეს წერილი მიიტანა:

"უსაყვარლესო ლიზი,

ამ დილას ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი; მგონი, იმას უნდა მივაწეროთ, რომ გუშინ დავსველდი. სანამ არ გამოვკეთდები, ჩემს კეთილ მეგობრებს ჩემი სახლში დაბრუნების გაგონებაც კი არ უნდათ. თანაც, დაჟინებით მოითხოვენ, რომ მისტერ ჯონსმა გამსინჯოს, ასე რომ, არ შეგეშინდეთ თუ გაიგებთ, რომ ჩემთან იყო მოსული. ყელისა და თავის ტკივილის გარდა, ისეთი არაფერი მაწუხებს.

შენი, ა.შ."

– მოკლედ, ჩემო ძვირფასო, – თქვა მისტერ ბენეტმა, როცა ელიზაბეთი წერილის ხმამაღლა კითხვას მორჩა, – თუ შენს ქალიშვილს ავადმყოფობა გაურთულდება და მოკვდება, ალბათ ნუგეშს მოგგვრვის იმის ცოდნა, რომ ეს ყველაფერი სულ მისტერ ბინგლიზე ნადირობის დროს და შენი მეთვალყურეობის ქვეშ მოხდა.

– საერთოდ არ მეშინია, რომ მოკვდება. ხალხი პატარა გაციებისგან არ კვდება. კარგად მოუვლიან და მანამ იქ არის, ყველაფერი მშვენივრად იქნება. ეტლი რომ მქონდეს, წავიდოდი და მოვინახულებდი.

ელიზაბეთი მართლა ანერვიულდა და დასთან წასვლა გადაწყვიტა. ეტლი არ იყო, ხოლო რადგან ცხენზე ჯდომა არ იცოდა, ერთადერთი გზა ფეხით წასვლა იყო.

– როგორ ხარ ასეთი სულელი?! – დაიყვირა დედამ, – როგორ გაივლე თავში, რომ ამ ტალახში წახვალ?! იქ რომ მიაღწევ, საშინელი შესახედი იქნები.

– ჯეინის სანახავად მშვენიერი შესახედი ვიქნები და მხოლოდ ესაა, რაც მინდა.

– ლიზი, ეს ჩემი მისამართით თქვი? – იკითხა მამამ, – გინდა, რომ ცხენები გამოვაყვანინო?

– არა, არა. ფეხით წასვლა საერთოდ არ მეზარება. მანძილი არაფერია, როცა ადამიანს მიზანი აქვს. თან მხოლოდ სამი მილია. სადილისთვის დავბრუნდები.

– შენი კეთილმოსურნეობით აღტაცებული ვარ, – სიტყვა ჩააგდო მერიმ, – მაგრამ ნებისმიერი გულისწადილი გამართლებული უნდა იყოს და მის მისაღწევად, ჩემი აზრით, აუცილებელზე მეტი ძალისხმევა არ უნდა გამოიყენო.

– მერიტონამდე გამოგყვებით, – თქვეს ქეთრინმა და ლიდიამ, ელიზაბეთიც დათანხმდა და სამი ახალგაზრდა ქალბატონი ერთად გაუდგა გზას.

– თუ ვიჩქარებთ, – თქვა ლიდიამ გზაში, – შეიძლება, კაპიტან კარტერსაც მივუსწროთ.

ერთმანეთს მერიტონში დაშორდნენ. უმცროსი გოგონები ერთ-ერთი ოფიცრის ცოლის ბინისაკენ გაემართნენ, ელიზაბეთმა კი გზა მარტომ განაგრძო. მინდვრებს სწრაფი ნაბიჯებით კვეთდა, ღობეებს მარდად ახტებოდა და მოუთმენლობით აღსავსე, გუბეებში მიაბოტებდა. და როცა თვალწინ სახლის ხედი გადაეშალა, ფეხები დაქანცოდა, წინდები გაჭუჭყიანებოდა და ჩქარ სიარულს მისთვის სახე ლამაზად აეკიაფებინა.

საუზმის ოთახში შეუძღვნენ. იქ ჯეინის გარდა, ყველა შეკრებილიყო. მისმა გამოჩენამ დიდი განცვიფრება გამოიწვია. მისის ჰერსტისა და მის ბინგლისთვის წარმოუდგენელი იყო, რომ ელიზაბეთს ასე ადრიანად, ასეთ ტალახიან ამინდში სამი მილი ფეხით გაევლო. ელიზაბეთი დარწმუნებული იყო, რომ ამის გამო ისინი აბუჩად აიგდებდნენ. მიუხედავად ამისა, ძალიან თავაზიანად მიიღეს, მათი ძმის მანერებში კი რაღაც უკეთესი იგრძნობოდა, უფრო მეტი, ვიდრე უბრალო თავაზიანობა – ეს ალბათ კეთილგანწყობა და სიკეთე იყო. მისტერ დარსიმ ძალიან ცოტა რამ თქვა, მისტერ ჰერსტს ხმა არ ამოუღია. დარსი ორ გრძნობას შორის იყო მოქცეული – აღფრთოვანებასა და ეჭვს შორის: აღფრთოვანებული იყო

ელიზაბეთის სიკაშკაშით, რომელიც გრძელი სეირნობისგან იყო გამოწვეული, ხოლო ეჭვი მის ფეხით მოსვლის მიზეზს უკავშირდებოდა, ნუთუ ასე შორს მხოლოდ დის სანახავად მოვიდაო. რაც შეეხება მისტერ ჰერსტს, ის მხოლოდ თავის საუზმეზე ფიქრობდა.

ელიზაბეთმა დის ჯანმრთელობის შესახებ დასმულ კითხვებზე არც თუ ისე სანუგეშო პასუხები მიიღო. მის ბენეტს ღამე ავად გაუატარებია და რომ გაეღვიძა, თურმე ძალიან აციებდა, ამდგარა, მაგრამ საკმარისად კარგად არ გრძნობდა თავს, რომ ოთახი დაეტოვებინა. ელიზაბეთი მოხარული იყო, როდესაც დასთან მალევე აიყვანეს, ჯეინი კი დის დანახვამ საოცრად გაახარა; არადა, ოჯახის წევრების აღელვების ან რაიმე უხერხულობის გამოწვევის შიშით, წერილში თავი შეეკავებინა და არ გამოემჟღავნებინა, რაოდენ ძლიერ უნდოდა ახლობლების ნახვა. ლაპარაკის თავი მაინცდამაინც არ ჰქონდა და როცა მის ბინგლიმ დები მარტო დატოვა, ბევრი ვერაფრის თქმა შეძლო, გარდა იმისა, რომ იმ უზომო სიკეთის მადლიერი იყო, რომლითაც იქ ეპყრობოდნენ. ელიზაბეთი ჩუმად უსმენდა.

საუზმის შემდეგ ჯეინს და ელიზაბეთს ბინგლის დები შეუერთდნენ. ელიზაბეთს მათ მიმართ ნელ-ნელა სიმპათია უჩნდებოდა, როცა ხედავდა, რომ ჯეინს სიყვარულითა და მზრუნველობით ექცეოდნენ. აფთიაქარი მივიდა, გასინჯა პაციენტი და როგორც სავარაუდო იყო, თქვა, ძლიერ არის გაციებული და მის გამოჯანმრთელებას ყოველმხრივ უნდა ვეცადოთო, ლოგინში დაბრუნება ურჩია და წამალსაც დაპირდა. რჩევას ჯეინი სწრაფადვე დაჰყვა, რადგან ციება გაძლიერებოდა და თავიც მწვავედ სტკიოდა. ელიზაბეთს დის ოთახი წამით არ დაუტოვებია, ოთახიდან არც სხვა ქალბატონები გადიოდნენ ხშირად – ბატონები არ იყვნენ სახლში და პრინციპში, მათ სხვა არაფერი ჰქონდათ საქმე. როცა საათმა სამი ჩამოჰკრა, ელიზაბეთი მიხვდა, რომ სახლში წასვლის დრო იყო და ამის შესახებ ყოველგვარი სურვილის გარეშე განაცხადა. მის ბინგლიმ ეტლი შესთავაზა და დასათანხმებლად მას მხოლოდ მცირედი ბიძგი სჭირდებოდა, რომ ამ დროს, ჯეინს მასთან განშორების გამო ძლიერი წუხილი დაეტყო. ამიტომ, მის ბინგლი იძულებული გახდა, ეტლის შეთავაზება დაპატიჟებად გადაეკეთებინა და ნედერფილდ-

ში დარჩენა შესთავაზა. ელიზაბეთი დიდი მადლიერებით დათანხმდა, ლონგბორნში კი მსახური გაგზავნეს, რომ ოჯახისთვის მისი დარჩენის შესახებ ეუწყებინა და ნედერფილდში საჭირო ტანსაცმელი ჩაეტანა.

თავი 8

ხუთ საათზე ქალბატონები ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგნენ და შვიდის ნახევარზე ელიზაბეთი სადილზე მიიწვიეს. იქ დის ჯანმრთელობის შესახებ უამრავი თავაზიანი კითხვა მიიღო, მაგრამ სასიკეთო პასუხები, სამწუხაროდ, ვერ გასცა. თუმცა ის კი გაუხარდა, როცა შენიშნა, რომ მისტერ ბინგლის კითხვები განსაკუთრებული მზრუნველობით გამოირჩეოდა. ჯეინი თავს უკეთ ნამდვილად არ გრძნობდა. ამის გაგონებაზე, დებმა არაერთხელ აღნიშნეს ძალიან ვწუხვართო, რა აღმაშფოთებელია ასეთი მძიმე გაციება, თავად გვძულს ავად ყოფნაო, და მერე ამ საკითხზე ფიქრით თავი აღარ შეუწუხებიათ. ელიზაბეთი კი მიხვდა, რომ ეს ქალბატონები, როცა ჯეინს უშუალოდ არ ხედავდნენ, საკმაოდ გულგრილები იყვნენ და ამდენად, მათ მიმართ ძველებური ანტიპათია დაუბრუნდა.

ერთადერთი მათი ძმა იყო, რომელიც ელიზაბეთის კეთილგანწყობას იმსახურებდა. ბინგლი ჯეინის მდგომარეობაზე უდავოდ ღელავდა, ელიზაბეთის მიმართ კი სითბოს და ყურადღებას იჩენდა, რაც გოგონას იმ შეგრძნებისგან ათავისუფლებდა, თითქოს დაუპატიჟებელი სტუმარი იყო, რასაც სხვების მოპყრობა აფიქრებინებდა. ბინგლის გარდა, თითქმის არავინ არაფრად აგდებდა. მის ბინგლის მისტერ დარსი გამოეჭირა, მისი დაც მსგავსად იყო დაკავებული, ხოლო, რაც შეეხება მისტერ ჰერსტს, ერთი ზარმაცი კაცი გახლდათ, მხოლოდ იმისთვის ცხოვრობდა, რომ ეჭამა, ესვა და ბანქო ეთამაშა, და როცა აღმოაჩინა, რომ მის წინ მჯდომ ელიზაბეთს უბრალო კერძი ერჩივნა რაგუს, აღარაფერი დარჩა მისთვის სათქმელი.

სადილის შემდეგ ელიზაბეთი პირდაპირ ჯეინთან გაემართა. გავიდა თუ არა ოთახიდან, მის ბინგლი მის დამცირებას შეუდგა. ელიზაბეთის ქცევაზე ძალიან ცუდი აზრის იყო – სიამაყისა და

თავხედობის ნაზავიაო, არც საუბარი იცის, არც მანერები აქვს, არც გემოვნება და არც სილამაზეო. მისის ჰერსტიც იმავე აზრზე იყო და დაამატა:

– ერთი სიტყვით, არაფერი აქვს, რითიც კარგ შთაბეჭდილებას მოახდენდა, გარდა იმისა, რომ კარგად დადის. არასდროს დამავიწყდება მისი შესახედაობა ამ დილას. ლამის ველურივით გამოიყურებოდა.

– ნამდვილად ასე იყო, ლუიზა. ძლივს დავმალე განცვიფრება. ძალიან სულელური აზრი იყო საერთოდ აქ წამოსვლა! მთელი გზა თავქუდმოგლეჯილი დარბოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი და გაცივდა?! მოუწესრიგებელი, აჩეჩილი თმებით...

– ჰო, და ქვედაბოლო?! იმედი მაქვს, დაინახე მისი ქვედაბოლო, ექვსი ინჩით ტალახში ამოგანგლული, სრულიად დარწმუნებული ვარ. ჩამოშვებული მოსასხამიც ვერაფერს უმალავდა.

– შეიძლება, შენს მიერ დახატული სურათი ზუსტია, ლუიზა, – თქვა ბინგლიმ, – მაგრამ მე მსგავსი ვერაფერი დავინახე. ჩემი აზრით, მის ელიზაბეთ ბენეტი ამ დილას მშვენივრად გამოიყურებოდა, როცა ოთახში შემოვიდა. ჭუჭყიანი ქვედაბოლო კი ნამდვილად არ შემიმჩნევია.

– თქვენ დააკვირდებოდით, მისტერ დარსი, დარწმუნებული ვარ, – მიმართა მის ბინგლიმ, – და ვფიქრობ, არ ისურვებდით, რომ თქვენს დას მსგავსი სანახაობა მოეწყო.

– რა თქმა უნდა, არა.

– გამოიარო სამი თუ ოთხი, თუ ხუთი მილი, თუ რამდენიცაა, კოჭებით ტალახში და მარტომ, სულ მარტომ?! რისი თქმა უნდა ამით?! ჩემი აზრით, თავმომწონე დამოუკიდებლობის საძაგელი გამოვლინებაა, პროვინციელობის ზუსტი მაჩვენებელია, ეს მხოლოდ მათ თუ შეუძლიათ – ზრდილობის წესების სრული უგულებელყოფა!

– დის მიმართ სიყვარულის მაჩვენებელია, რაც ძალიან სასიამოვნოა, – თქვა ბინგლიმ.

– მისტერ დარსი, – ნახევრად ჩურჩულით აღნიშნა მის ბინგლიმ, – ვშიშობ, ამ თავგადასავალმა საკმაოდ იმოქმედა თქვენს აღფრთოვანებაზე მისი მშვენიერი თვალებით.

– სულაც არა, – მიუგო დარსიმ, – თვალები ბევრი სიარულის გამო კიდევ უფრო უბწყინავდა.

ამ პასუხს მცირედი პაუზა მოჰყვა და ლაპარაკი მისის ჰერსტმა განაახლა:

– ჯეინ ბენეტის მიმართ უკიდურესად კეთილგანწყობილი ვარ; მართლაც საყვარელი გოგონაა და მთელი გულით მინდა, ცხოვრება კარგად აიწყოს, მაგრამ ასეთი მამითა და დედით, ასეთი მდაბიო ნათესაობით, ვშიშობ, ამის შანსი არა აქვს.

– მგონი, ამბობდი, რომ მათი ბიძა ვექილია მერიტონში.

– ჰო, და კიდევ ჰყავთ ერთი ბიძა, რომელიც სადღაც ჩიპსაიდთან ახლოს ცხოვრობს.

– ეს უკვე სულ სხვა საქმეა! – დაამატა მისმა დამ და ორივემ გადაიხარხარა.

– მთელი ჩიპსაიდი მათი ბიძებით რომ იყოს სავსე, – დაიყვირა ბინგლიმ, – გოგონების მშვენიერებას ეს ერთი ბეწოთიც კი არ დააკნინებდა!

– მაგრამ საგრძნობლად შეამცირებდა მათ შანსებს, რომ საზოგადოებაში რაიმე მნიშვნელოვანი სტატუსის მქონე მამაკაცზე დაქორწინებულიყვნენ, – წარმოთქვა დარსიმ.

ბინგლის არაფერი უპასუხია, მაგრამ დები დარსის ენერგიულად დაეთანხმნენ და გულითადი მეგობრის ვულგარული ნათესაობის განხილვას მხიარული გასაქანი მისცეს.

თუმცა ცოტა ხანში ჯეინის მიმართ ნაზი გრძნობები კვლავ დაუბრუნდათ, სასადილო ოთახიდან მისი ოთახისკენ გაეშურნენ და ვიდრე ყავაზე არ დაუძახეს, ავადმყოფთან ისხდნენ. ჯეინი კვლავ ძალიან ავად გრძნობდა თავს და ელიზაბეთმა მთელი დრო მასთან გაატარა, სანამ გვიან საღამოს არ დარწმუნდა, რომ ჩაეძინა და სანამ არ მიხვდა, რომ ქვემოთ ჩასასვლელად შესაფერისი დრო იყო, თუმცა არამც და არამც სასიამოვნო. მისაღებ ოთახში სრული შემადგენლობით შეკრებილიყვნენ და კარტს თამაშობდნენ. ელიზაბეთი სათამაშოდ მაშინვე დაპატიჟეს, მაგრამ რახან იეჭვა, ალბათ დიდ ფულზე თამაშობენო, უარის მიზეზად დის მდგომარეობა დაასახელა და თქვა, ვიდრე ქვემოთ ვარ, ცოტა ხანი წიგნის კითხვით შევიქცევ თავსო. მისტერ ჰერსტმა გაოცებით შეხედა.

– კარტს კითხვა გირჩევნიათ? – უთხრა მან, – საკმაოდ უჩვეულოა.

– მის ელიზა ბენეტს, – თქვა მის ბინგლიმ, – სძულს ბანქო, წიგნების დიდი მოტრფიალეა და კითხვის გარდა, ვერაფრით იღებს სიამოვნებას.

– არ ვიმსახურებ არც ამგვარ ქებას და არც ამგვარ გაკიცხვას, – ხმამაღლა თქვა ელიზაბეთმა, – არ ვარ წიგნების დიდი მოტრფიალე და სიამოვნებასაც ბევრი რამით ვიღებ.

– დარწმუნებული ვარ, სიამოვნებას თქვენი დის მოვლით იღებთ, – დასძინა ბინგლიმ, – და იმედი მაქვს, სიამოვნება მალე გაგიორმაგდებათ, როცა მას გამოჯანმრთელებულს ნახავთ.

ელიზაბეთმა მთელი გულით მადლობა გადაუხადა და მაგიდას მიუახლოვდა, სადაც რამდენიმე წიგნი იდო. ბინგლიმ დაუყოვნებლივ სხვა წიგნები შესთავაზა – ყველა ის წიგნი, რასაც მისი ბიბლიოთეკა გაწვდებოდა.

– და ვისურვებდი, რომ თქვენი გულისთვის და ჩემივე კარგი რეპუტაციისთვის, უფრო დიდი კოლექცია მქონდეს, თუმცა ზარმაცი კაცი ვარ. ბევრი წიგნი არ მაქვს, მაგრამ მაინც მათ უმეტესობაში ცალი თვალითაც არ ჩამიჭყიტავს.

ელიზაბეთმა დაარწმუნა, რომ ოთახში არსებული წიგნები მისთვის სრულიად საკმარისი იყო.

– გაოცებული ვარ, – თქვა მის ბინგლიმ, – მამამ წიგნების ასეთი მწირი კოლექცია რომ დაგვიტოვა. რა შესანიშნავი ბიბლიოთეკა გაქვთ, მისტერ დარსი, პემბერლიში!

– სხვაგვარად ვერც იქნება, – უპასუხა დარსიმ, – მრავალი თაობის შრომის შედეგია.

– და თქვენც რამდენი შემატეთ! წიგნებს ყოველთვის ყიდულობთ.

– ჩემთვის გაუგებარია, ოჯახის ბიბლიოთეკას ჩვენს დროს როგორ არ უნდა გაუფრთხილდე.

– არ უნდა გაუფრთხილდე?! დარწმუნებული ვარ, ყველაფერს უფრთხილდებით, რასაც ამ კეთილშობილური ადგილისთვის სილამაზის შემატება შეუძლია. ჩარლზ, როცა სახლს ააშენებ, ვისურვებდი, რომ პემბერლის მშვენიერების ნახევარი მაინც ჰქონდეს.

– მეც ასე ვისურვებდი.

– მაგრამ მართლა გირჩევ, რომ სადმე იქვე, მეზობლად იყიდო მამული და პემბერლი ნიმუშად გქონდეს. ინგლისში დერბიშირზე კარგი საგრაფო არ მეგულება.

– მთელი გულითა და სულით გეთანხმები. თავად პემბერლის შევიძენ, თუ დარსი გაყიდის.

– შესაძლო ვარიანტებზე ვლაპარაკობ, ჩარლზ.

– ღმერთო ჩემო, კეროლაინ, ჩემი აზრით, პემბერლის შეძენა უფრო შესაძლებელია, ვიდრე მისი მიბაძვა.

ელიზაბეთი იმდენად გაიტაცა მიმდინარე სიტუაციამ, რომ წიგნს ძალიან ცოტა ყურადღებას უთმობდა, მალე მთლად გვერდზე გადადო, ბანქოს სათამაშო მაგიდას მიუახლოვდა, ადგილი მისტერ ბინგლისა და მის უფროს დას შორის იპოვა და თამაშის დაკვირვებას შეუდგა.

– მის დარსი გაზაფხულის მერე კიდევ უფრო გაიზარდა? – იკითხა მის ბინგლიმ, – ნეტავ, ჩემსავით მაღალი თუ დადგება?

– დიახ, მე მგონი. ახლა დაახლოებით მის ელიზაბეთ ბენეტის სიმაღლისაა ან ოდნავ მაღალი.

– ვოცნებობ, რომ კვლავ შევხვდე! ასეთ არაჩვეულებრივ ადამიანს არასდროს შევხვედრივარ. როგორი გარეგნობა აქვს, როგორი მანერები და თავისი ასაკისთვის როგორი განათლებულია! საუკეთესოდ უკრავს ფორტეპიანოზე.

– ჩემთვის გასაოგნებელია, – თქვა ბინგლიმ, – როგორ ყოფნით მოთმინება ახალგაზრდა ქალბატონებს, რომ ყველანი ასეთი განათლებულები იყვნენ.

– ყველა ახალგზარდა ქალბატონი განათლებულია?! ჩარლზ, ძვირფასო, რას გულისხმობ?

– ჰო, ჩემი აზრით, ყველა მათგანი. ყველას შეუძლია მაგიდების მოხატვა, ფარდების მოქარგვა, ქისების ქსოვა. მგონი, არავის ვიცნობ, ვინც ამ ყველაფერს ვერ შეძლებდა და არასდროს გამიგია, რომ ახალგაზრდა ქალბატონზე ლაპარაკობდნენ და არ ფლობდნენ ცნობებს იმის შესახებ, რომ ძალიან განათლებულია.

– განათლების ზოგადი დონის მაჩვენებლების შენეული ჩამონათვალი, – თქვა დარსიმ, – სიმართლისგან შორს ნამდვილად

არაა. ამ სიტყვას ხშირად ბევრი იმ ქალის მისამართით იყენებენ, რომლებიც მას მხოლოდ ქისის ქსოვისა და ფარდების მოქარგვის გამო იმსახურებენ, მაგრამ ნამდვილად ვერ დავეთანხმები შენს შეფასებებს, ზოგადად, ქალბატონების განათლების საკითხში. ვერ დავიკვეხნი, რომ ჩემი ნაცნობების წრიდან ხუთ-ექვს მართლა განათლებულ ქალბატონზე მეტს ვიცნობ.

– ვერც მე, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, – განაცხადა მის ბინგლიმ.

– მაშინ, – აღნიშნა ელიზაბეთმა, – ალბათ კარგად უნდა ერკვეოდეთ, თუ რას ნიშნავს, თქვენი მოსაზრების თანახმად, განათლებული ქალი.

– დიახ, მე სავსებით კარგად ვერკვევი.

– ღმერთო, რასაკვირველია! – წამოიყვირა დარსის ერთგულმა თანაშემწემ, – განათლებულად ვერავინ შეფასდება, თუ ზოგადი დონისგან საგრძნობლად არ გამოირჩევა. ეს სიტყვა რომ დაიმსახუროს, ქალს მუსიკის, სიმღერის, ხატვის, ცეკვისა და თანამედროვე ენების საფუძვლიანი ცოდნა უნდა გააჩნდეს. გარდა ამისა, რაღაც განსაკუთრებული უნდა ჰქონდეს გარეგნობასა და სიარულის მანერაში, ხმის ტონში, მეტყველებასა და აზრის გამოხატვაში. სხვაგვარად, ამ სიტყვის ღირსი ბოლომდე ვერ იქნება.

– ამ ყველაფერს უნდა ფლობდეს, – დაამატა დარსიმ, – და მაინც კიდევ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი უნდა შემატოს: აზროვნება ხშირი კითხვით გაიუმჯობესოს.

– უკვე აღარ მიკვირს, რომ მხოლოდ ექვს განათლებულ ქალს იცნობთ. ახლა იმასაც კი ვფიქრობ, როგორ მოახერხეთ საერთოდ ასეთის გაცნობა.

– რა მკაცრი წარმოდგენისა ხართ თქვენს სქესზე, რომ ამ ყველაფრის შესაძლებლობაში ეჭვი გეპარებათ?

– არასოდეს მინახავს ასეთი უნარები, გემოვნება, სიბეჯითე, ელეგანტურობა, როგორც თქვენ აღწერეთ, ერთად თავმოყრილი.

მის ბინგლიმ და მისის ჰერსტმა ელიზაბეთის უსამართლო ეჭვები ერთხმად დაგმეს და ორივე აპროტესტებდა – მრავალ ქალს ვიცნობთ, ვინც ამ სურათს მშვენივრად ერგებაო. ამ დროს, რო-

გორც იქნა, მისტერ ჰერსტმა მათ წესრიგისკენ მოუწოდა და მწარედ უსაყვედურა, თამაშის მსვლელობას ყურადღებას არ აქცევთო. ყოველგვარ საუბარს ბოლო მოეღო და ელიზაბეთიც მალე ოთახიდან გავიდა.

– ელიზა ბენეტი, – თქვა მის ბინგლიმ, – იმ ახალგაზრდა ქალბატონების რიცხვში შედის, რომლებიც ცდილობენ საწინააღმდეგო სქესს საკუთარი სქესის დამცირების ხარჯზე მოაწონონ თავი და ვიტყოდი, რომ ბევრ მამაკაცთან ეს ჭრის. მაგრამ ჩემი აზრით, იაფფასიანი მეთოდია, ძალიან არაკეთილსინდისიერი ხერხი.

– უდავოდ, – უპასუხა დარსიმ, რომლის მისამართითაც იყო უმთავრესად ეს შენიშვნა წარმოთქმული, – არაკეთილსინდისიერება ყველა იმ ხერხშია, რომელთაც ქალები გულების დასაპყრობად მიმართავენ. ყველაფერი, რაც კი ცბიერების მონათესავეა, საზიზღრობაა.

ეს პასუხი მის ბინგლის მაინცდამაინც არ ეამა და ამიტომ, ამ საკითხზე აღარ შეჩერებულა.

ელიზაბეთი მათ ისევ შეუერთდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეთქვა, მისი და უარესად გრძნობდა თავს და ვერ დატოვებდა. ბინგლიმ დაიჟინა, დაუყოვნებლივ მისტერ ჯონსი უნდა მოვიყვანოთო. მისი დები არწმუნებდნენ, სოფლის რჩევები არაფერში გამოდგებაო, და აზრი გამოთქვეს – ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე განთქმულ ექიმთან შიკრიკი გავგზავნოთო. ელიზაბეთს ამის გაგონებაც კი არ სურდა, მაგრამ ბინგლის წინადადებას უარყოფითად ნამდვილად არ შეხვედრია. გადაწყდა, რომ თუ მის ბენეტი თავს უკეთ არ იგრძნობდა, დილიდანვე მისტერ ჯონსს დაუძახებდნენ. ბინგლი აღელვებული იყო, მისმა დებმა კი გამოაცხადეს, უგუნებოდ ვართო, თუმცა თავიანთი უბედურების ნუგეში ვახშმის მერე დუეტების სიმღერაში იპოვეს. ხოლო ბინგლიმ შვება ვერაფერში ნახა გარდა იმისა, რომ სახლის მმართველისთვის განკარგულება მიეცა, ავადმყოფ ქალბატონსა და მის დას ყურადღება არ დააკლოთო.